# ალია

N116(3046) 30 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE

გამოდის 1995 წლიდან


## რა ინფორმაციების გავრცელება აიკრძალება კანონით?



# რა ხდება „ნაცმოძრაობის“ კულუარებში

## ვინ დატოვა საქართველო და ვინ ემზადება გასაქცევად?




# რომელ ქვეყანას შეაფარებს თავს სააკაშვილი?



## რაზე მოილაპარაკეს „ქართული ოცნების“ საგანგებო სხდომაზე?



## რა დოკუმენტების გადაცემას აპირებს გოგა ხაინდრავა პროკურატურისთვის?

## მამა გიორგი რაზმაძე: „ისინი ჩვენი მანდატით არიან შესულები პარლამენტში და რასაც ხალხი შეუკვეთს, იმაზე უნდა იმღერონ. თუ ასე არ უნდათ, ნეხვიანი კეტებით გავყრით თანამდებობიდან“

„ძალიან ცუდად დაამთავრებენ. რაც „ნაციონალებს“ დაემართათ, ამათ უარესი დაემართებათ. ხალხს ყელში ამოუვიდა და მოთმინების ფიალა ავსებულია, ბოლო წვეთია უკვე და ამას მთავრობაში ვერ აცნობიერებენ. როცა სჭირდებათ, მათხოვრებივით დაწანწალებენ, რომ ხმები მოაგროვონ. დიახ, მათხოვრებივით, შეფასება არის ზუსტი. ახლა მოვიდნენ თანამდებობებზე და ჰგონიათ, რომ ყველაფრის უფლება აქვთ“



# რომელ ქვეყანას შეაფარებს თავს სააკაშვილი?



„მსოფლიოში ჯერ კიდევ მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი არის რუსეთთან ბრძოლის სიმბოლო. ეს პიარია თუ პროპაგანდა, არა აქვს მნიშვნელობა, დღეს ბევრს აწყობს, რომ მიშა გამოიყენოს. 9 წლის განმავლობაში მან ძალიან ძლიერი კონტაქტები დაამყარა, რომელზეც შეიძლება ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს. აქ ფულია ჩარეული თუ სხვა ინტერესები, ეს სხვა თემაა“

მას შემდეგ, რაც საქართველოს ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, მთავარმა პროკურატურამ 2007 წლის ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით ბრალდება წაუყენა და სისხლის სამართლის საქმე აღძრა, ბუნებრივად იბადება კითხვა: რომელი ქვეყნები მისცემენ სააკაშვილს თავშესაფარს, რათა მან თავი გადაირჩინოს? ფაქტია, საქართველოს პროკურატურამ უკვე მეორე წელია უცხოეთში გაქცეული დამნაშავე „ნაციონალებიდან“ ვერც ერთის დაკავება და ჩამოყვანა ვერ შეძლო. საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, სიტუაცია ჯერჯერობით ასე ლაგდება: თუკი მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკურ თავშესაფარს ერთი ქვეყანა მაინც მისცემს, ამის შემდეგ გინდა წითელ ცირკულარში ჩასვი, გინდა – ყვითელში, ძალაში რჩება მხოლოდ დაუსწრებლად გასამართლება, პატიმრობის შეფარდება და ის საქართველოში ვეღარ ჩამოვა სასჯელის ხანდაზმულობის გასვლამდე, ანუ სასჯელის ვადის ამოწურვიდან კიდევ 15 წლის მანძილზე. მოდით, დავიწყოთ იქიდან, რომელმა ქვეყნებმა შეიძლება მისცენ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური თავშესაფარი? შეიძლება თუ არა, ეს იყოს ჰოლანდია (რომელთა სიძეც სააკაშვილი გახლავთ), პოლონეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, საუდის არაბეთი, უკრაინა? ამ შემთხვევაში მე ჩამოვთვალე ის ქვეყნები, სადაც საქართველოს ექსპრეზიდენტს, ასე თუ ისე, ნაცნობ-მეგობრები ჯერ კიდევ ჰყავს. როგორც პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, წითელ ცირკულარში სააკაშვილის ჩასმა მხოლოდ საქართველოზე არ არის დამოკიდებული – „ინტერპოლმა“ უნდა განიხილოს წარდგენილი მტკიცებულებები და შემდეგ გამოიტანოს გადაწყვეტილება, შეიძლება თუ არა, პიროვნებაზე დაიწყოს საერთაშორისო ძებნა:

„დავუშვათ, დაიწყო ძებნა და მიშამ მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, მას არ ექნება სხვა ქვეყნებში გასვლის უფლება, ყველგან იქნება პერსონა „ნონ გრატად“ გამოცხადებული. არ არის გამორიცხული, ჰოლანდიამ მისცეს თავშესაფარი, მაინც სიძეა. მიშასთვის ეს იგივე ციხე იქნება, მაგან თუ არ ირბინა აღმა-დაღმა და ვილაცებს არ შეხვდა, მოკვდება“.

კაი, ბატონო, დავუშვათ, თეორიულად ჰოლანდია უკვე დაბევებული აქვს სააკაშვილს, არის პოლონეთი, რომელსაც ტერიტორიულად მეტი მასშტაბები კი აქვს, მაგრამ იქ მისთვის მაინც სივიწროვე იქნება. თან პოლონეთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, რუსებს ძლიერი აგენტურა ჰყავთ და არც თუ უსაფრთხოდ იქნება. ასეთივე საფრთხე არსებობს მიშასთვის უკრაინაშიც, ალბათ, უკრაინის ხელისუფლება მას პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს. სოსო ცინცაძის თქმით, სანამ ამერიკაში მაკ კეინი და სააკაშვილის სხვა „მამები“ ჯერ კიდევ „ცვეტში“ არიან, არსებობს შანსი, იქაც მისცენ თავშესაფარი. წესით, მიხეილ სააკაშვილს არ უნდა გაუჭირდეს პოლიტიკური თავშესაფრის მოპოვება, მაგრამ არსებობს სახელმწიფო ინტერესები – ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე უკვე ხელი გვაქვს მოწერილი და ევროპის ქვეყნებსაც აქვთ ჩვენს წინაშე რაღაც ვალდებულებები, ბოლოს და ბოლოს, ერთი კაცის შეფარება ღირს კი სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაფუჭებად? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გავაფორმეთ ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია. სოსო ცინცაძის თქმით, ეს ქარტია დიდი არაფერია, მაგრამ სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს ის მომენტი, რომ დღეს ამერიკაშიც და ევროპაშიც ანტირუსული ფონია: „მსოფლიოში ჯერ კიდევ მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი არის რუსეთთან ბრძოლის სიმბოლო. ეს პიარია თუ პროპაგანდა, არა აქვს მნიშვნელობა, დღეს ბევრს აწყობს, რომ მიშა გამოიყენოს. 9 წლის განმავლობაში მან ძალიან ძლიერი კონტაქტები დაამყარა, რომელზეც შეიძლება ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს. აქ ფულია ჩარეული თუ სხვა ინტერესები, ეს სხვა თემაა“.

დავუშვათ, სააკაშვილს ევროპის რამდენიმე ქვეყანა და ამერიკაც დაბევებული აქვს, არსებობს კიდევ ორი ისეთი ქვეყანა, სადაც შენი „ინტერპოლიც“ და მოთხოვნებიც შეიძლება ფეხებზე დაიკიდონ – საუდის არაბეთი და ისრაელი. ალბათ, გახსოვთ მიშა ერთი პერიოდი ხშირად დაიარებოდა დუბაიში და არაბ შეიხებთანაც გადააბა კუდი კუდზე, მაშინ ამბობდნენ, მათი საშუალებით დიდ ფულს აბანდებს არაბულ ქვეყნებშიო. რაც შეეხება ისრაელს, აქ შესაძლებელია, თეორიულად, კეზერაშვილის კავშირები გამოიყენოს, მაგრამ ბოლო დროს ისრაელის სახელმწიფომ ჩვენს ხელისუფლებასთან საკმაოდ თბილი ურთიერთობები დაამყარა და ალბათ, ამ ურთიერთობებს სააკაშვილს არ გადააყოლებს.

„სხვათა შორის, ამ მხრივ ყველაზე კარგი გამოცდილება აქვს საუდის არაბეთს, რომელმაც თავის დროზე თავშესაფარი მისცა უგანდის პრეზიდენტს, კაციჭამია იდიამინს. მის ცოლს ჰქონდა სამკერვალო ფაბრიკა, სადაც კერავდნენ სკოლის მოწაფეების ტანსაცმელს. ერთ დღესაც რომელიღაც სკოლის მოსწავლეებმა სხვა ფაბრიკის მიერ შეკერილი ფორმები ჩაიცვეს და იდიამინმა ყველა დაახოცვინა. მერე მაცივარში უნახეს ბავშვების სხეულები, ჭამდა, კანიბალი იყო. მთელი გაერო, მთელი საერთაშორისო საზოგადოება ჰააგის ტრიბუნალს მოითხოვდა, მაგრამ უცებ მუსლიმანობა მიიღო, წავიდა საუდის არაბეთში და იმის მერე 15 წელი იცხოვრა, მშვიდად მოკვდა, თავისით. მიშას კონტაქტები აქვს იგივე დუბაიში, სინგაპურში. ეს ქვეყნები მაინცდამაინც ყურადღებას არ აქცევენ „ინტერპოლს“, ეს რომ ეხებოდეს საერთაშორისო ტერორიზმს, მაშინ სხვა საკითხი იქნებოდა“.

სოსო ცინცაძე ციხეში მიშა სააკაშვილის ნახვის პერსპექტივას ცოტა სკეპტიკურად უყურებს. მასი აზრით, დღეს ამ მხრივ მსოფლიოში იმდენი ბარიერი არსებობს, ჩვენი პროკურორები ამ დონეზე ვერ გაქაჩავენ. „არა-

ძალიან დიდი ალბათობით, მიშა საქართველოში არ ჩამოვა, მაგრამ ვთქვათ პრინციპულად დადგა საკითხი, რომ სააკაშვილმა სასჯელი საქართველოში მოიხადოს. მსოფლიოში არსებობს ყოფილი მაღალჩინოსნების სხვა ქვეყნიდან გატაცების გამოცდილება. ნაკლებად სავარაუდოა, საქართველოს ხელისუფლება ამაზე წავიდეს, რადგან ამას მოჰყვება ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრების აღშფოთება, ასევე იმ ქვეყანასთან შეგვექმნება პრობლემები, სადაც თავშესაფარს მისცემენ და გატაცება მოხდება. მაგრამ დავუშვათ, მაინც გაჩნდა სურვილი, ამ შემთხვევაში ეს საქმე უნდა შეასრულოს ისეთმა ძლიერმა სპეცსამსახურმა, როგორიც არის ისრაელში „მოსადი“. ჩვენ მსგავსი დონის „სპეციალისტები“ არ გვყავს. აქედან გამომდინარე, ალბათ, ძირშივე უნდა გამოვრიცხოთ ამის ალბათობა.

როგორც სოსო ცინცაძე ამბობს, მთავარმა პროკურატურამ ცოტა იჩქარა, თუ ჩვენ გეგმაში გვაქვს, რომ მეორე ნიურნბერგის პროცესი ჩავატაროთ, მაშინ გამოძიება უნდა წასულიყო ქვემოდან ზემოთ, ანუ გასამართლებულიყო ყველა „ნაციონალი“ დამნაშავე და ამის შემდეგ მისდგომოდნენ მიხეილ სააკაშვილს. ნიურნბერგის პროცესი იყო დამნაშავეების გასამართლების საბოლოო „გვირგვინი“, როდესაც ყველა გაასამართლეს და უტყუარი მტკიცებულებები მოიპოვეს, ამის შემდეგ მიდა, წლების განმავლობაში დანაშაული ხდებოდა პირდაპირ ეთერში, დარბევები გადაიცემოდა ტელევიზიებით. სამხილები და მტკიცებულებები ხელის გულზე დევს, მაგრამ „ნაციონალები“ დაიწყებენ საპირისპირო ვერსიების გავრცელებას, ანუ დაიწყებენ მტკიცებას, რომ 2007-შიც და 2011-შიც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ამ ვერსიას გაიტანენ „ნაციონალები“ ქვეყნის გარეთ და მერე დაიწყება მარჩიელობა იმაზე, რა მოხდა და როგორ იყო. ვიმეორებ, ამათ არ უნდა დაეწყოთ ზემოდან, სანამ გერმანელები გერინგამდე და ჰიმლერამდე მივიდოდნენ, დაიწყეს შემსრულებლების დასჯა, დასაწყისში არკვევდნენ, ისინი ბრძანებებს ასრულებდნენ თუ თავიანთი ინიციატივით მოქმედებდნენ. ჩვენ ყველაფერი ვიცით, ვინ რას აკეთებდა, ვინ ვის ბრძანებას ასრულებდა, მაგრამ აქ უკვე საჭიროა უამრავი ფორმალობის დაცვა და ჩვენების მოპოვება“.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ყოფილმა და ახლანდელმა მაღალჩინოსნებმა გამოძიებასთან თანამშრომლობა დაიწყეს და ჩვენებებიც მისცეს. თუმცა „საერთაშორისოებისთვის“ საკმარისი იქნება თუ არა, გაურკვეველია. ერთი სიტყვით, თუ სააკაშვილი მოინდომებს, ბავშვების ჭამის ბრალდებაც რომ წაუყენონ, თავის გადარჩენას მაინც შეძლებს. ერთი ეგაა, საქართველოში ვეღარ ჩამოვა კაიხანს.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არა მგონია, სენატორების განცხადებაზე ხელისუფლებას ადეკვატური რეაქცია ჰქონდეს“



„ნაციონალურ მოძრაობაში“ ფიქრობენ, რომ ხელისუფლებას ამერიკელი სენატორების მიერ გავრცელებულ განცხადებაზე ადეკვატური რეაქცია არ ექნება. როგორც უმცირესობის წევრმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, საქართველოს პარტნიორები რწმუნდებიან, რომ ხელისუფლება მოტივირებულია შურისძიებაზე და არა საქართველოს წინსვლაზე.

„სენატორებს მწვავე რეაქცია აქვთ, რადგან მიაჩნიათ, რომ ის ნაბიჯი, რაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადაიდგა, ქართულ დემოკრატიას დააზიანებს. ეს ნაბიჯი პირდაპირ არის მიმართული მთავარი ოპოზიციური ძალის განადგურებისკენ. არ ველოდები, რომ ამ განცხადებას ადეკვატური რეაქცია მოჰყვება, რადგან ჩვენი ხელისუფლება შურით არის დაბრმავებული“, – განაცხადა სააკაშვილმა. (ნიუპოსტი)

## თაქთაქიშვილის 8 არგუმენტი, რატომ არის სააკაშვილის ბრალდება პოლიტიკურად მოტივირებული



საპარლამენტო უმცირესობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენას სოციალური ქსელის მეშვეობით ეხმაურება.

„თუ ვინმესთვის კიდევ არის საჭირო არგუმენტები, რატომ არის პრეზიდენტისადმი წაყენებული ბრალდება პოლიტიკური:

1. პრეზიდენტი დიდი ხნის წინ იყო გამოცხადებული პუტინის მიერ საერთაშორისო დამნაშავედ.
2. პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალის წაყენება დიდი ხნის წინ იყო დაანონსებული პირადად ბიძინა ივანიშვილის და მისი მონის მიერ, ოღონდ ყოველგვარი გამოძიების გარეშე.
3. პრეზიდენტი, მინისტრები და მერი ბრალდებული არიან მძიმე დანაშაულებში, როგორც ბრძანების გამცემები, მაგრამ არც ერთი შემსრულებელი არ არის პასუხისგებაში მიცემული.
4. გამოძიება წარმართულია არა შესაძლო დანაშაულის გარემოებების შესასწავლად, არამედ ამ „დანაშაულებში“ პირველი პირების წინააღმდეგ ბრალის შესათითხნად.
5. საქმეში არასანდო მოწმეების (ირაკლი ოქრუაშვილისნაირების) ჩვენებების გარდა, დარწმუნებული ვარ, არავითარი მტკიცებულება არ არსებობს.
6. ფარცხალაძემ ვანო მერაბიშვილი სწორედ იმიტომ გაიტაცა საკნიდან, რომ ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდა, სხვებს რას უზამდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ!
7. პრეზიდენტისთვის ბრალის წაყენება ემთხვევა მის განსაკუთრებულ გააქტიურებას საერთაშორისო მასშტაბით პუტინის წინააღმდეგ და „ქართული ოცნებისადმი“ ხალხის ნდობის დაკარგვას.
8. მილოშევიჩის გვარის გაჟღერება ხელისუფლების მხრიდან ძვირადანაზღაურებად პროკურატურის საერთაშორისო კონსულტანტებთან დაკავშირებით პირდაპირ მიუთითებს პუტინის დავალებას, ივანიშვილის მუქარასა და ამ ბრალს შორის კავშირზე“, – წერს თაქთაქიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

საакაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საакაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საакაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

„ალია“-„ქრონიკა“



> ადრე მიშა, ყველა კრიტიკულ მომენტში ხან გიგა ბოკერიას ურეკავდა, ხან სხვას, სკაიპითაც ხშირად ერთვებოდა და ამხნევებდა თანაგუნდელებს, აიმედებდა, ნუ გეშინიათ, მაგრად იდექით, ჩემს დაჭერას ვერ გაბედავენ და მალე ხელისუფლებაში დავბრუნდებითო. თუმცა, ახლა თანაპარტიელები აღარ ახსოვს, არავის არ შეხმიანებია და არც მათ სატელეფონო ზარებს პასუხობს

# რა ხდება „ნაცმოძრაობის“ კულუარებში

## ვინ დატოვა საქართველო და ვინ ემზადება გასაქცევად?

„ნაცმოძრაობის“ მთავარ ოფისში დიდი გლოვაა გამოცხადებული. მალე, ალბათ, ოფისის თავზე დროშას დაუშვებენ და მკლავზე შავ სამკლაურებს გაიკეთებენ. მთავარი პროკურატურის მიერ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამ, საბოლოოდ გატეხა წელში, დარწმუნდნენ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ხელისუფლება მათი პოლიტიკურ-კრიმინალური ბანდის სრულად განადგურებას აპირებს და რადგან ექსპრეზიდენტს საქმე აღუძრეს, დანარჩენებსაც, ყველას, ვისაც დანაშაული აქვს წარსულში ჩადენილი, პასუხს მთელი სიმკაცრით მოსთხოვენ. უდანაშაულონი კი „ნაცების“ ლიდერთა შორის ერთეულები თუ არიან.

> პარტიის ლიდერები განსაკუთრებით მას შემდეგ დაიზაფრნენ, რაც ინფორმაცია გავრცელდა, რომ სააკაშვილი ჰოლანდიაში, მძიმე დეპრესიაში იყო და ფსიქოთერაპევტის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა

„ალიამ“, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, კულუარული ინფორმაციები მოიპოვა იმ ვითარების შესახებ, რაც „ნაცმოძრაობის“ გარემოცვაში ხდება. რა გამართლდება აქედან და რა არა, ამას ახლო მომავალში შევიტყობთ. მათ თავს კი კარგი არაფერი ხდება – სრული პანიკა და ქაოსია. თავად მიხეილ სააკაშვილს, მას შემდეგ, რაც მასზე პროკურატურამ სამართლებრივი დევნა დაიწყო, ერთხელაც კი არ დაურეკავს პარტიის რომელიმე ლიდერთან გასამხნევებლად. ადრე მიშა, ყველა კრიტიკულ მომენტში ხან გიგა ბოკერიას ურეკავდა, ხან სხვას, სკაიპითაც ხშირად ერთვებოდა და ამხნევებდა თანაგუნდელებს, აიმედებდა, ნუ გეშინიათ, მაგრად იდექით, ჩემს დაჭერას ვერ გაბედავენ და მალე ხელისუფლებაში დავბრუნდებითო. თუმცა, ახლა თანაპარტიელები აღარ ახსოვს, არავის არ შეხმიანებია და არც მათ სატელეფონო ზარებს პასუხობს. ამან, ცხადია, პანიკა გამოიწვია „ნაციონალებში“. პარტიის ლიდერები განსაკუთრებით მას შემდეგ დაიზაფრნენ, რაც ინფორმაცია გავრცელდა, რომ სააკაშვილი ჰოლანდიაში, მძიმე დეპრესიაში იყო და ფსიქოთერაპევტის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდაო. წყარო აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია გიგა ბოკერიასგან გავრცელდა, რომელმაც მიშასთან დაკავშირება ვერ შეძლო, მაგრამ საკუთარი არხებით მოახერხა მისი დუმილის მიზეზისა და მდგომარეობის შესახებ შეეტყო.

თითქოს ეს არ ეყოფოდათ „ნაციონალებს“, მალე უფრო უარესიც შეიტყვეს. სავარაუდოდ, გიგა ბოკერია „ნაცების“ გადასარჩენად ბრძოლას აღარ აპირებს. „ნაციონალთა“ ოფისიდან

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*




„ნაცმოძრაობის“ მთავარ ოფისში დიდი გლოვაა გამოცხადებული. მალე, ალბათ, ოფისის თავზე დროშას დაუშვებენ და მკლავზე შავ სამკლაურებს გაიკეთებენ. მთავარი პროკურატურის მიერ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამ, საბოლოოდ გატეხა წელში, დარწმუნდნენ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ხელისუფლება მათი პოლიტიკურ-კრიმინალური ბანდის სრულად განადგურებას აპირებს

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### პრემიერ-მინისტრმა სპეციალური განცხადება გაავრცელა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განცხადება გაავრცელა.

„2012 წლის პირველ ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ხალხისგან მიიღო მკაფიო დავალება, რომ შეექმნა ისეთი სამართლებრივი სისტემა, როგორსაც იმსახურებდა, და ეს, პირველ რიგში, გულისხმობდა სამართლიანი სისტემის შექმნას. ჩვენ ხალხისგან მივიღეთ მანდატი, რომელიც ამ დავალებას ზედმიწევნით შესრულების ვალდებულებას გვაკისრებს. ქართველ ხალხს სურს, რომ საბოლოოდ დაესვას წერტილი დაუსჯელობას, რომელიც წლების განმავლობაში იყო გაბატონებული ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხი მის მიერ არჩეული ხელისუფლებისგან მოითხოვს ისეთ სისტემას, სადაც ჩადენილი დანაშაულისთვის კანონის წინაშე პასუხს აგებს საქართველოს თითოეული მოქალაქე და სადაც თანამდებობა ვერ იქნება ინდულგენცია.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენმა მთავრობამ, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, მაქსიმალურად შეუწყო ხელი ქვეყანაში კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებას. სასამართლო აღარ განიცდის ხელისუფლების გავლენას, მთავარი პროკურატურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით, პოლიტიკა განდევნილია სასამართლო სისტემიდან, სამართალდამცავი ორგანოები და ჯარი სრულად დეპოლიტიზებულია, დაცულია ბიზნესი და კერძო საკუთრება, უზრუნველყოფილია მედიის თავისუფლება, მოქალაქეთა ყველა ძირითადი უფლება სრულად დაცულია, დასრულდა ადამიანთა წამება ციხეებში, გაიზარდა მსჯავრდადებულთა უფლებები.

ყოველგვარი პოლიტიკური ანგაჟირების გარეშე, მთავარმა პროკურორმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და პასუხისგებაში მისცა ისინი, ვინც, სავარაუდოდ, კანონი დაარღვია. პროცესი აბსოლუტურად ღიაა – ქართველ ხალხსა და მთელ მსოფლიოს, ყველა ჩვენს პარტნიორ და მეგობარ სახელმწიფოს, ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, სრულად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გააანალიზოს ამ მნიშვნელოვან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საქართველოს მთავრობა მიესალმება ობიექტურ გამოძიებას, რადგან სწორედ ამ გზით შევძლებთ ჩვენ, რომ საქართველოს სამართლებრივი სისტემა გახდეს უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. ჩვენი საბოლოო მიზანია, ავაშენოთ ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც კანონის წინაშე ყველა მოქალაქე იქნება თანასწორი და კანონზე მაღლა არავინ იდგება“, – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

### უვადო პატიმრობასთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები შედის



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებით, უვადო პატიმრობასთან დაკავშირებით კანონში ცვლილების განხორციელება შესაძლებელი ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გახდა.

„საუბარია, რომ 25 წელი 5 წლით შემცირდეს და 20 წლის სასჯელის მოხდის შემდეგ უფლება ჰქონდეს პირს, რომ მათი ვადაზე ადრე განთავისუფლების საკითხი განიხილოს სპეციალურმა კომისიამ. იყო მოსაზრება, რომ ამ საკითხზე იყოს კომპლექსური განხილვა. მთავარია, კანონის ინიცირება ხდება. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა“, – განაცხადა ბესელიამ. (რეპორტიორი)

*მესამე გვერდიდან*

გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ბოკერია ამერიკის ელჩს, რიჩარდ ნორლანდს შეხვედრია და მისთვის და მისი ოჯახისთვის, ამერიკაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების თაობაზე უსაუბრია. ბოკერია ნამდვილად შეხვდა ნორლანდს, მაგრამ პარტიის ყველა ლიდერს ეგონა, რომ ეს შეხვედრა, მიხეილ სააკაშვილის ბედსა და „ნაცმოძრაობის" მომავალს შეეხებოდა. ბოკერია საქართველოს ტოვებსო და ამაზე სულ გადარეულან „ნაციონალები", ჯერ ერთ ზარს არ გადაევლო, ხელახლა რომ დაპანიკდნენ. ამ ინფორმაციას მყარი საფუძველი ნამდვილად აქვს. ცნობილია, რომ მთავარმა პროკურატურამ ბოკერია 4 აპრილს მოწმის სახით დაკითხა. პროკურატურის იმჟამინდელი განცხადებით, ბოკერია ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ დიდი ოდენობის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის საქმეზე იქნა მოწმედ დაბარებული. ამ „არამიზნობრივი ხარჯვის" უკან კი გაფლანგული რამდენიმე მილიონი ლარია, „რომელიც" ნაცმოძრაობის უცხოურ პიარსა და ამ პარტიის ლობისტებს მოხმარდათ. ეს ფული მაშინ გაიფლანგა, როცა უშიშროების საბჭოს მდივანი ბოკერია იყო. ბოკერიამ ჩინებულად იცის, რომ დასაჭერად აქვს საქმე, მასაც მალე წაუყენებენ ბრალს. თანაც, სხვა თანაგუნდელი დეპუტატებისგან განსხვავებით, მას იმუნიტეტიც არ იცავს. ამიტომ მისი დაჭერა უფრო იოლია, ყოველგვარი ზედმეტი პროცედურების გარეშე, ვიდრე ნებისმიერი დეპუტატისა. შესაბამისად, სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ ეს ვერსია, რომ ბოკერია სამართლებრივ პასუხისმგებლობას გაურბის და ამერიკელ პატრონებს სთხოვა თავშესაფარი. რა განუცხადა პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის შემდეგ რიჩარდ ნორლანდმა ბოკერიას, ეს ჩვენთვის უცნობია.

რამდენ ბობოლა „ნაციონალსაც" დაიჭერდნენ, მათი ლიდერები და მხარდამჭერები მაშინვე ყალყზე დგებოდნენ და რევოლუციის მოწყობით იმუქრებოდნენ. პერმანენტულად ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ „ნაციონალები" თბილისში კიევური მაიდანის მოწყობას აპირებდნენ. ამის შესახებ „ალიაც"



სავარაუდოდ, გიგა ბოკერია „ნაცების" გადასარჩენად ბრძოლას აღარ აპირებს. „ნაციონალთა" ოფისიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ბოკერია ამერიკის ელჩს, რიჩარდ ნორლანდს შეხვედრია და მისთვის და მისი ოჯახისთვის, ამერიკაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების თაობაზე უსაუბრია

ხშირად სწერდა საფუძვლიან ინფორმაციებზე დაყრდნობით და ჩვენი რესპონდენტებიც ხშირად საუბრობდნენ, რომ „ნაცები" ქვეყანაში არეულობის მოწყობისა და ხელისუფლებაში მობრუნების გარდა, სხვა გზას ვერ ხედავენ და ამისთვის რეალურად ემზადებოდნენ.

სააკაშვილს პროკურატურამ საქმე რომ აღუძრა, ნიკა რურუამ „ფეისბუკზე" პოსტი გამოაცხო, რომელიც ასე მთავრდება: „ახალ რევოლუციას გაიჩალიჩებენ ეს დებილები". მწარე და რეალობას მოწყვეტილმა „ნაცფანებმა" გაიხარეს, ჩვენი ბელადები რევოლუციას აწყობენ და აბა, ჰე, მზად ვიყოთო. თუმცა, მიშას პარტიას შემორჩენილ ამ მხარდამჭერებს, იმედები უნდა გავუცრუო. გუშინ „ნაცების" მთავარ ოფისში რევოლუციაზე აღარც ის ადამიანები საუბრობდნენ, რომლებიც ყველაზე აქტიურად უჭერდნენ ამას მხარს, პოლიტიკოსები, რომელთაც დანამდვილებით იციან, რომ დასაჭერად აქვთ საქმე.

> **„ნაციონალებს" გადარჩენის ყველა იმედი გადაეწურათ. კი, მაგარ-მაგარ განცხადებებს აკეთებენ ზოგიერთები, მაგრამ მათ ხმაში რიხი გაქრა, ბრძოლის სურვილის ნიშანიც კი არ ჩანს. რა რევოლუციის მოწყობაზეა ლაპარაკი, როცა პარტიის არაერთი ლიდერი საქართველოდან გაიქცა და ბევრი გაქცევას აპირებს"**

ამას ძალიან მარტივი მიზეზი აქვს. სააკაშვილსა და მის პარტიას, აღარც შინაური მხარდაჭერა აქვს და აღარც საგარეო. ჯონ მაკკეინისა და კიდევ სამი ამერიკელი კონგრესმენის აღშფოთება, სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გამო, სათვალავში არ არის ჩასაგდები, მათ, უბრალოდ, ვალი მოიხადეს.

„ნაციონალებმა" კარგად იციან, რომ ვერანაირ რევოლუციას ვერ მოაწყობენ, სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, მათ მომხრეთა ძალიან დიდი ნაწილი დაკარგეს. ამ ამბიდან მეორე დღესვე, ანუ გუშინ, „ნაციონალური მოძრაობის" რაიონულ ოფისებიდან გამოსული ინფორმაციით, პარტიის წევრების დიდმა ნაწილმა დატოვა „ნაციონალების" რიგები. „ნაცმოძრაობის" რამდენიმე რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა და მათმა მოადგილეებმაც დატოვეს პოსტები. მოკლედ, ეს ხალხი არ აპირებს, მიშასა და „ნაცებს" პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეს. ამ ფონზე კი რევოლუციაზე ფიქრს აზრი არც აქვს – მიშას მომხრეები მხოლოდ იმდენიღა დარჩნენ, რუსთაველზე რომ გამოეფინონ, მათ დათვლას იოლად მოახერხებს კაცი. თუ გარისკეს და მაინც გამოვიდნენ, ხალხი ამას ველარ აიტანს – მოუცვივდებიან და კუდით ქვას ასროლინებენ. ეს თავად „ნაციონალებმა" ჩინებულად იციან და ამის დასტური ოფისში, თანაგუნდელებთან გაკეთებული აკაკი ბობოხიძის განცხადებაა – ისე არ უნდა გაგვეხადა საქმე, რომ ქუჩაში გამოსვლისას, 5 ათასზე მეტი კაცის მხარდამჭერის იმედი არ გვქონდესო. კარგია, რომ ბობოხიძე მაინც ხვდება, თავად გაიხადეს ისე საქმე, ხალხს მათი დანახვაც კი აღარ უნდა.

> **წყაროს ინფორმაციით, ამ ორ დღეში, რაც სააკაშვილზე საქმე აღიძრა, საქართველო დატოვეს ვანო მერაბიშვილის ყოფილმა მოადგილეებმა — შალვა ჯანაშვილმა და გია ლორთქიფანიძემ, დეპუტატებმა — კობა ნაყოფიამ, ძმებმა დავით და გელა ბეჟუაშვილებმა. ასევე, ლევან ვარშალომიძემ და გენშტაბის ყოფილმა უფროსმა, ზაზა გოგავამ. მათ ოჯახებით დაუტოვებიათ საქართველო**

„ნაციონალებს" გადარჩენის ყველა იმედი გადაეწურათ. კი, მაგარ-მაგარ განცხადებებს აკეთებენ ზოგიერთები, მაგრამ მათ ხმაში რიხი გაქრა, ბრძოლის სურვილის ნიშანიც კი არ ჩანს. რა რევოლუციის მოწყობაზეა ლაპარაკი, როცა პარტიის არაერთი ლიდერი საქართველოდან გაიქცა და ბევრი გაქცევას აპირებს. წყაროს ინფორმაციით, ამ ორ დღეში, რაც სააკაშვილზე საქმე აღიძრა, საქართველო დატოვეს ვანო მერაბიშვილის ყოფილმა მოადგილეებმა – შალვა ჯანაშვილმა და გია ლორთქიფანიძემ, დეპუტატებმა – კობა ნაყოფიამ, ძმებმა დავით და გელა ბეჟუაშვილებმა. ასევე, ლევან ვარშალომიძემ და გენშტაბის ყოფილმა უფროსმა, ზაზა გოგავამ. მათ ოჯახებით დაუტოვებიათ საქართველო.

თუ წყაროს ინფორმაცია სიმართლეა, უცხოეთში გაქცევას აპირებენ თბილისის საკრებულოს წევრი მამუკა ახვლედიანი, ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა, დეპუტატები როლანდ ახალაია და კახა ბუცხრიკიძე. ეს დღეები არსად გამოჩენილა გივი თარგამაძე, რომელიც „ფეისბუკში" მაინც „პოსტავდა" ხოლმე „შედევრებს". თურმე, უკრაინიდან საქართველოში ჩამოსვლას აღარ აპირებენ იუსტიციის მინისტრისა და მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილეები – გიორგი ვაშაძე და დავით საყვარელიძე.

მოკლედ, „ნაცმოძრაობის" ლიდერები ჩემოდნებს ალაგებენ და საკუთარ დანაშაულზე პასუხისმგებლობას გაურბიან. ზოგი გაიქცა და ზოგი ხვალ-ზეგ გაიქცევა. ის გარბის, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, უდანაშაულონი, თუნდაც „ნაციონალთა" ლიდერები, არსად წასვლას არ აპირებენ. ასეთები კი თითზე არიან ჩამოსათვლელნი. ამ დღეებში გაირკვევა, რამდენად უტყუარია ეს ინფორმაცია, ვინ გაიქცა მართლა საქართველოდან და მალე ვინ მიჰყვება მათ უკან.

> **„ნაცმოძრაობაში" ისეთი მდგომარეობაა, მტერს არ უსურვებს კაცი. პარტიაში დიდი პანიკა და ქაოსია, „ნაცმოძრაობა", ფაქტობრივად, იშლება და ამ პროცესის შემჩერებელი არც არავინ არის — ულიდეროდ არიან დარჩენილნი, მიშა სააკაშვილი ფსიქიატრიულ კლინიკას თუ გადაურჩა, საკუთარი თავის გარდა, სხვისთვის აღარ ეცლება. ყველა ლიდერი თავის გადარჩენაზე ფიქრობს, პარტიის ბედი საერთოდ აღარავის აინტერესებს და ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მიდის**

მოკლედ, „ნაცმოძრაობაში" ისეთი მდგომარეობაა, მტერს არ უსურვებს კაცი. პარტიაში დიდი პანიკა და ქაოსია, „ნაცმოძრაობა", ფაქტობრივად, იშლება და ამ პროცესის შემჩერებელი არც არავინ არის – ულიდეროდ არიან დარჩენილნი, მიშა სააკაშვილი ფსიქიატრიულ კლინიკას თუ გადაურჩა, საკუთარი თავის გარდა, სხვისთვის აღარ ეცლება. ყველა ლიდერი თავის გადარჩენაზე ფიქრობს, პარტიის ბედი საერთოდ აღარავის აინტერესებს და ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მიდის – მიშა სააკაშვილმა და მისმა პარტიამ რაც დაიმსახურეს, ის მიიღეს კიდეც.

**„ალია" ამ ინფორმაციების გადამოწმებას „ნაცმოძრაობის" პრესცენტრის უფროსთან, გიორგი პატარაიასთან შეეცადა, მაგრამ მან, ტრადიციულად, ჩვენს სატელეფონო ზარებს არც ამჯერად უპასუხა.**

ლევან ჯავახიშვილი
5 77 51-73-37

## ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „პროკურატურას არაერთი ინფორმაცია მივაწოდე, ახლაც მზად ვარ, ხელი შევუწყო გამოძიებას"



კოალიცია „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ ბრალის წაყენების ფაქტს ეხმაურება.

„კარგია, რომ სააკაშვილის მიმართ ბრალის წაყენება ახლა მაინც მოხდა. თუმცა, ვთვლი რომ მაინც დაგვიანებულია ეს პროცესი, რადგან წელიწადი და რვა თვე ხელისუფლებამ სრულიად ფუჭად დაკარგა და ამ პერიოდის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ" და სააკაშვილმა კიდევ ბევრი რამ დაუშავა საქართველოს მოსახლეობას. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებული იქნას აგვისტოს ომი და უპირველეს ყოვლისა, სააკაშვილმა პასუხი აგოს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებთან დაკავშირებით. ასევე, აუცილებლად უნდა იქნას გამოძიებული 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევა, უამრავი დატერორებული ადამიანის საქმე, უკანონოდ წართმეული ქონების საქმეები და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის საკითხები.

ეს არის უზარმაზარი კომპლექსი, რომელიც დარწმუნებული ვარ, ძალიან სერიოზული ბრალდების საფუძველს იძლევა. მაგრამ სახელმწიფოებრივად ყველაზე მნიშვნელოვანია რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ აგვისტოს ომი იქნას გამოძიებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გაგვიჭირდება ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან საუბრის დაწყება. ბუნებრივია, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჭეშმარიტება დადგინდეს და სამართალმა იზეიმოს. მე პროკურატურას უკვე არაერთი ინფორმაცია მივაწოდე და ახლაც მზად ვარ, ხელი შევუწყო გამოძიების სამართლიანად და ობიექტურად ჩატარებას", – განაცხადა ბურჯანაძემ. (რეპორტიორი)

### „გივი თარგამაძემ უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია"




იური ვაზაგაშვილის ადვოკატები, მათ დაცვის ქვეშ მყოფის მისამართით განხორციელებულ დისკრედიტაციაზე საუბრობენ.

„2014 წლის 23 ივლისს, საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტის ტრიბუნიდან, ბატონი გივი თარგამაძის მხრიდან, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი ბრალდება გაჟღერდა ბატონი იური ვაზაგაშვილის მიმართ, რითაც თარგამაძემ დაარღვია კონსტიტუციით გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია და იური ვაზაგაშვილი შეფასდა, როგორც კრიმინალი. გივი თარგამაძემ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია და ჩვენ, იური ვაზაგაშვილის ადვოკატები, მისი ბრალდების საპასუხოდ სასამართლოში შევიტანთ სარჩელს და მოვითხოვთ სახელის, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფას", – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

იგივე საკითხს სოსო რობაქიძეც გამოეხმაურა.

„კრიმინალი გივი თარგამაძე როგორ საუბრობს სხვაზე? მაგრამ მე უფრო ის მაინტერესებს, პარლამენტში ვინც ისხდნენ, თითქმის ყველა კარგად იცნობს იური ვაზაგაშვილს და რატომ არავინ არ ამოიღო ხმა?! ამაზე მწყდება გული... სწორედ იური ვაზაგაშვილმა გაუხსნა ხელ-ფეხი ბევრ დღევანდელ მაღალჩინოსანს და არ მესმის, ეს კაცი როგორ არ უნდა დაეცვათ?!" – აღნიშნა რობაქიძემ. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რა დოკუმენტების გადაცემას აპირებს გოგა ხაინდრავა პროკურატურისთვის?

მართალია, პროკურატურამ ექსპრეზიდენტი სააკაშვილი ბრალდებულად ცნო, მაგრამ მას ეს სულაც არ აღელვებს, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ის აქვეყნებს ფოტოს და ვიდრე პროკურატურა ძებნას გამოაცხადებს, ეს ჩვენი გაფიჟვინებული ნიუ-იორკში, ოკეანის პირას წითელი ღვინით ბუჟდება და სურათს უკეთებს წარწერას: „დღეს, ოკეანისპირას. ჰემპტონი. ნიუ-იორკი“. რით დასრულდება სააკაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე – მისი გაგიჟებით თუ მისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებით, ამას სულ მალე შევიტყობთ...



სხვათა შორის, 7 ნოემბრის მოვლენების ეპიცენტრში კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა იდგა, რომელსაც სააკაშვილის პროკურატურამ ნიკა გვარამიას „რეჟისორობით“ მიუძღვნა ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, სადაც ხაინდრავა გამოყვანილია, როგორც რუსეთის აგენტი, რომელიც მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში.

**საინტერესოა, დაკითხა თუ არა პროკურატურამ გოგა ხაინდრავა, რომელიც ამ პროცესების ერთ-ერთი მთავარი მოწმეა? სწორედ ამ კითხვით მივმართეთ მას...**

– ამ დრომდე დაკითხული არ ვარ, პრინციპში, გასაკვირიცაა, პირველი, ვინც 7 ნოემბრის დილას დაიჭირეს აბსოლუტურად უკანონოდ, ვიყავი მე. მე ვიყავი ზუსტად იმ ცნობილი თათბირის მსხვერპლი, სადაც ვანო მერაბიშვილი 2007 წლის 4 ნოემბერს მოუწოდებდა მის თანამზრახველებს, რომ გალახული კაცი არის „ჩმორი“. მე დამაბრალეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, მაშინ, როცა 4 დღის მოშიმშილე ვიყავი. მათ ასევე მოინდომეს რამდენიმე დანაშაულის ინსკრიმინაცია, თითქოს პოლიციას გავუწიე წინააღმდეგობა, ვიხულიგნე და ა.შ. მაგრამ სასამართლოზე ეს ფაქტები არ დადგინდა. ძალიან კარგად მახსოვს, მაშინ გელა ნიკოლაიშვილმა და ნანა კაკაბაძემ მოიტანეს კასეტა, სადაც ჩანს, რომ მე ვდგავარ ხელაწეული იმ მომენტში, როდესაც ყვითელ ლაბადაში გადაცმულმა სპეცრაზმელებმა ამიყვანეს. ამიტომაც, ეს ამბავი ჩაეშალათ და დატოვეს ბრალდება, თითქოს ვიმყოფებოდი ნარკოტიკულ თრობაში... სხვათა შორის, დიდი ხანია ვითხოვ, გავარკვიო, რა ხდება ამ საქმესთან დაკავშირებით, თუმცა არანაირი შეტყობინება ჯერ არ მომსვლია. „ნაციონალებმა“ 7 მუხლით სამი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმე აღმიძრეს.

**— ნიკა გვარამიას ფილმში „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ თქვენ, ლევან ბერძენიშვილი, შალვა ნათელაშვილი და ცოტნე გამსახურდია, ბრალდებული იყავით სახელმწიფოს ჯაშუშობაში, ფიქრობთ თუ არა, რომ ნიკა გვარამიას პასუხი უნდა მოეთხოვოს ასეთი ფალსიფიცირების გამო?**

– ვისაც კი აქვს ჩადენილი დანაშაული, ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი. მე მინდა თქვენი გაზეთით მივმართო განსაკუთრებით ტელეჟურნალისტებს, დაანებონ თავი სიცრუის ტირაჟირებას „ნაცმოძრაობის“ მხრიდან, ის ვერსია, თითქოსდა 7 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა. ეს არის სრული სიცრუე, რადგან 7 ნოემბერს არაფერი არ მზადდებოდა. 7 ნოემბერს დილის 7 საათზე შიმშილისგან მისავათებული რამდენიმე მომიტინგე ვიწექით პარლამენტის წინ. მთელი ის უბედურება, რაც შემდეგ ქართველ ხალხს თავს დაატყდა, გამოიწვია „ნაცმოძრაობის“ მოქმედებამ. რატომ ცრუობს „ნაციონალური მოძრაობა“ და რატომ ფლიდობს, ჩემთვის ეს გასაგებია. ქართული მედია რატომ მონაწილეობს „ნაციონალების“ სიცრუის თამაშში, ეს უფრო მაინტერესებს. საპროტესტო აქციების პიკი იყო 2 ნოემბერი, 250 ათასი კაცი იყო შეკრებილი პარლამენტის წინ და რუსთაველის გამზირზე. 2 ნოემბერი ერთი თვით ადრე გვქონდა დაანონსებული, სექტემბრიდან დავიწყეთ ამაზე ლაპარაკი და მთელი საქართველო მოვიარეთ. ბუნებაში არანაირი 7 ნოემბერი არ არსებობდა, 2 ნოემბერს შედგა ყველაზე დიდი მიტინგი საქართველოს ისტორიაში. ამ მიტინგზე მოვიდა ბადრი პატარკაციშვილი, იმავე ღამეს დატოვა თბილისი და აღარ დაბრუნებულა. ამიტომ, მითი 7 ნოემბერზე, თითქოს გადატრიალებას ჰქონდა ადგილი, არის „ნაციონალების“ სიცრუე, რომლის ტირაჟირება, სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ხდება ტელევიზიების მიერ. მთელი მსოფლიოს ტელევიზიები იყო მობილიზებული და მოვლენებს პირდაპირი ეთერით გადასცემდნენ, მსოფლიოა მოწმე, რომ სახელმწიფო გადატრიალების არანაირი ნიშნები იქ არ იყო. თავიდან ბოლომდე 7 ნოემბერი ადეიშვილის, მერაბიშვილის, ბოკერიასა და სააკაშვილის მოგონილია. ამ დღეს ჩათვალეს, რომ დასუსტებული ოპოზიცია, რომელიც, ფაქტობრივად, გამოფიტული იყო, 7 ნოემბერს უძლოდა შიმშილობა და სწორედ 7 ნოემბერს სადამსჯელო ოპერაცია ჩაგვიტარეს გამოფიტულ ოპოზიციას და ზუსტად ის გაგვიკეთეს, რასაც იმ ავადსახსენებელ თათბირზე აძლევდა მერაბიშვილი ბრძანებას. 4 ნოემბერს რაც მათ დაგეგმეს, 7 ნოემბერს განახორციელეს. სულ 50 კაცი ვიყავით, დაგვარბიეს და ამის პირდაპირმა ტრანსლაციამ გამოიწვია ხალხის ქუჩაში გამოყვანა. ასე რომ, არანაირი ორგანიზებული ხასიათი 7 ნოემბერს ჩვენი მხრიდან არ ჰქონია.

**— როგორ ფიქრობთ, ცნობილი კოდუას ჩანაწერი ბადრი პატარკაციშვილთან სახელმწიფოს დონეზე იყო დაგეგმილი თუ ეს იყო კოდუას პირადი ინიციატივა ბადრისგან ფულის გამოძალვის მიზნით?**

**„ბუნებაში არანაირი 7 ნოემბერი არ არსებობდა, 2 ნოემბერს შედგა ყველაზე დიდი მიტინგი საქართველოს ისტორიაში. ამ მიტინგზე მოვიდა ბადრი პატარკაციშვილი, იმავე ღამეს დატოვა თბილისი და აღარ დაბრუნებულა. ამიტომ მითი 7 ნოემბერზე, თითქოს გადატრიალებას ჰქონდა ადგილი, არის „ნაციონალების“ სიცრუე, რომლის ტირაჟირება, სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ხდება ტელევიზიების მიერ“**



**„ბადრის ლიკვიდაციის მცდელობა არ იყო პირველი ფაქტი, შეგახსენებთ ირაკლი ოქრუაშვილის უსერიოზულეს აღიარებას, როცა ის თავდაცვის მინისტრი იყო, სააკაშვილი რომ პატარკაციშვილის ლიკვიდაციას უკვეთდა. ირაკლი ოქრუაშვილი ცოცხალია, თბილისშია, მე ვფიქრობ, რამდენჯერმე საჯაროდ გამოთქმულ მოსაზრებას ის არ უარყოფს“**

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბრალდება საკრებულოს წევრ სევდია უგრეხელიძეს



პროკურატურა მალე კიდევ ერთი საქმის გამო წაუყენებს ბრალდებას თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელ და საკრებულოს წევრ სევდია უგრეხელიძეს.

როგორც პროკურატურაში განაცხადეს, სევდია უგრეხელიძემ 20 იანვარს თბილისის ტელეანძა შანტაჟის მიზნით გათიშა. თბილისის საკრებულო მერიას ბიუჯეტს არ უმტკიცებდა და ზეწოლის ამ გზას მიმართა. „თბილისის საკრებულოს უმრავლესობამ არ დაამტკიცა თბილისის ბიუჯეტი. ამაში იყო პოლიტიკური ხასიათისა და ყურით მოთრეული მიზეზები. მათ შორის, თბილისის ტელეანძის განათება. ჩვენ გადავწყვიტეთ, გამოვრთოთ ტელეანძა, სანამ ბიუჯეტი არ დამტკიცდება“. – იმუქრებოდა მაშინ დროებითი მერი.

ეს ანძა მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს საორიენტაციოდ, აერონავიგაციის დისპეტჩერები ამ ანძის მეშვეობით მითითებებს აძლევენ თვითმფრინავების ეკიპაჟებს, როცა ისინი თბილისის აეროპორტში დაჯდომა-აფრენას ახორციელებენ.

როგორც ცნობილია, იმ პერიოდში თვითმფრინავები საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ და ავარიულ დაჯდომას ახორციელებდნენ. (რეპორტიორი)



## ევროკავშირი VTB ბანკს სანქციებს დაუწესებს

ევროკავშირი გეგმავს სანქციები რუსეთის კიდევ 5 მოქალაქესა და რუსულ ბანკებს დაუწესოს. ბანკებში შედის ისეთი გიგანტი კომპანიები, როგორებიცაა Sberbank და VTB Bank. ამის შესახებ ინფორმაციას Wall Street Journal ავრცელებს.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი იმ ხუთი ადამიანის ვინაობა, რომლებსაც „შავ სიაში“ შეიყვანენ. გამომცემლობის ინფორმაციით, ევროკავშირი მსგავს სანქციებს ვლადიმერ პუტინის შესაჩერებლად მიმართავს. (ნიუპოსტი)

## შსს-მ თაღლითური დაჯგუფების წევრები დააკავა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დააკავეს თაღლითური დაჯგუფების ოთხი წევრი: 1989 წელს დაბადებული ამირან ა., 1978 წელს დაბადებული მამუკა ა., 1982 წელს დაბადებული იაგო გ. და 1986 წელს დაბადებული ლევან გ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მოქალაქეებისგან ავტომანქანებსა და ავტომანქანების ძარებს ყიდულობდნენ, შემდეგ მათი გაყალბებული „ვინკოდები“ და სახელმწიფო ნომრები იმავე მარკისა და მოდელის ავტომანქანებზე თაღლითურად გადაჰქონდათ. გაყალბებულ „ვინკოდიან“ ავტომანქანებს, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ბანკებში გირავნობით ტვირთავდნენ, რითიც ამ ორგანიზაციებს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიაყენეს. გამოძიებით დადგენილია, რომ ამ ორგანიზაციებისთვის მიყენებულმა ზიანმა 85 257 ლარი შეადგინა. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

– ამ ჩანაწერის გაკეთება მოხდა დეკემბერში, ეს ცნობილი ტელეწამყვანები რომ სხედან და „ნაციონალების“ ბოდვას უსმენენ, რომლებიც შეეხება ჩანაწერს, ეს გაკეთებული იყო მერაბიშვილის დავალებით, კოდუამ შეასრულა სახელმწიფო დავალება, ამაში მონაწილეობდნენ კიდევ სხვები, მე მაქვს ეს ჩანაწერი ნანახი თავიდან ბოლომდე. როგორც მახსოვს, „ალიამ“ გამოაქვეყნა ამის სრული ვერსია. ის, რაც ტელევიზიით აჩვენეს, იყო თავიდან ბოლომდე დამონტაჟებული.

**„აუცილებლად ამოვიღებთ 2008 წლის ბიულეტენებს, გადავთვლით და შევხედავთ, როგორ მოიგო მაშინ არჩევნები სააკაშვილმა და როგორ „გააპრავა“ მაშინ ბურჯანაძემ მოპარული არჩევნები. ყველაფერი გამოაშკარავდება, მიუხედავად იმ ალვირახსნილი კამპანიისა, რაც საზღვარგარეთ მიმდინარეობს სამართლიანობის აღდგენის პროცესის წინააღმდეგ, ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს“**

ერთმანეთს 7 ნოემბერს აბამენ ბადრი პატარკაციშვილის ჩანაწერს, ეს ჩანაწერი 7 ნოემბერთან არავითარ კავშირში არ არის, 7 ნოემბერი იყო თვე-ნახევრის ჩავლილი ამბავი, ეს ის პერიოდია, როცა ქვეყანაში არის ტერორი, ვართ დარბეულები და რომელ შეთქმულებაზე შეიძლება ყოფილიყო მაშინ ლაპარაკი. რაც

– ვალერი გელბახიანმა ჩემთან ინტერვიუში არაერთხელ დაადასტურა, რომ ბადრი პატარკაციშვილს მაშინდელი სოდ-ის უფროსი ერეკლე კოდუა ერთადერთი მიზეზით შეახვედრა, იგეგმებოდა პატარკაციშვილის ლიკვიდაცია, მას ჰქონდა ჩანაწერი, როგორ უკვეთდა მაღალჩინოსანი „მასტერა“ ჩეჩენ ბოევიკს ბადრის მკვლელობას, კოდუასგან სჭირდებოდა მიეღო დასტური, რომ ეს იყო ნამდვილად „მასტერა“. ბადრიმ მასალები „სკოტლანდ იარდს“ გადასცა გამოსაძიებლად. როგორ ფიქრობთ, აღიძვრება თუ არა საქმე პატარკაციშვილის გარდაცვალებამდე მიყვანის ფაქტზე.



„ქალბატონი ბურჯანაძე 2007 წლის 9 ნოემბერს გამობრძანდა და თქვა იგივე ვერსია, რასაც სააკაშვილი ამტკიცებდა, რომ თურმე სახელმწიფო გადატრიალებისგან გადაარჩინეს ქვეყანა მათ. ბურჯანაძე და სააკაშვილი ერთმანეთის „ჩაშკა-ლოჟკა“ იყვნენ, ამიტომ ყველას პასუხისმგებლობის საკითხი დადგება“

**— ბადრის ლიკვიდაციის მცდელობა არ იყო პირველი ფაქტი, შეგახსენებთ ირაკლი ოქრუაშვილის უსერიოზულეს აღიარებას, როცა ის თავდაცვის მინისტრი იყო, სააკაშვილი რომ პატარკაციშვილის ლიკვიდაციას უკვეთდა. ირაკლი ოქრუაშვილი ცოცხალია, თბილისშია, მე ვფიქრობ, რამდენჯერმე საჯაროდ გამოთქმულ მოსაზრებას ის არ უარყოფს.**

ბადრის წინააღმდეგ მუშაობდა სახელმწიფო მანქანა, ამათი კრიმინალური მოქმედებების შედეგია ბადრის გარდაცვალება, მჯერა, რომ საგამოძიებო პროცესები წავა და ამ პროცესის მონაწილე აუცილებლად ვიქნები, გარწმუნებთ, რომ სასამართლო სკამზე აღმოჩნდება ყველა ის პიროვნება, რომელიც იმ დროს „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში იყო, ჩემი ჩათვლით. უბრალოდ, ამ სკამს დავტოვებ და გადავალ დარბაზში, იმიტომ, რომ სისხლის სამართლის დანაშაული, სხვებისგან განსხვავებით, მე არ ჩამიდენია. იქ იქნება სააკაშვილი, ბოკერია, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე... მას მინდა გავახსენო, რომელიც დღეს ლაპარაკობს, თურმე აგვისტოს ამბებია გამოსაძიებელი და 7 ნოემბრის – არა... ქალბატონი ბურჯანაძე 2007 წლის 9 ნოემბერს გამობრძანდა და თქვა იგივე ვერსია, რასაც სააკაშვილი ამტკიცებდა, რომ თურმე სახელმწიფო გადატრიალებისგან გადაარჩინეს ქვეყანა მათ. ბურჯანაძე და სააკაშვილი ერთმანეთის „ჩაშკალოჟკა“ იყვნენ, ამიტომ ყველას პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

**— სხვათა შორის, მაშინდელი სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა ორაზროვან განცხადებებს აკეთებს და აცხადებს, რომ 2007 წლის ნოემბერში სააკაშვილთან და მის პოლიტიკურ ოპონენტებთან კონსულტაციების საწარმოებლად კონდოლიზა რაისმა გამოგზავნა. უნდა დამერწმუნებინა, რომ გაეუქმებინა საგანგებო მდგომარეობა და აღედგინა „იმედის“ მაუწყებლობა. ამერიკის მთავრობა იმ დროისთვის ძალიან შეშფოთებული იყო წარმოქმნილი კონფლიქტის პოლიტიკური და არასამართლებრივი ხასიათის გამო. გამოდის, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია სააკაშვილის დანაშაულის შესახებ ინფორმირებულია და თუკი ის გააგრძელებს მის დაცვას, ეს დანაშაულის დაფარვას ნიშნავს.**

– აუცილებლად ამოვიღებთ 2008 წლის ბიულეტენებს, გადავთვლით და შევხედავთ, როგორ მოიგო მაშინ არჩევნები სააკაშვილმა და როგორ „გააპრავა“ მაშინ ბურჯანაძემ მოპარული არჩევნები. ყველაფერი გამოაშკარავდება, მიუხედავად იმ ალვირახსნილი კამპანიისა, რაც საზღვარგარეთ მიმდინარეობს სამართლიანობის აღდგენის პროცესის წინააღმდეგ, ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს. დასავლეთის გარკვეულ ძალებს არ უნდათ, გაირკვეს სიმართლე, იმიტომ, რომ მათ სჭირდებათ ჩვენი მონობა. ეგ ამბავი არ გამოვა, ქართული სახელმწიფო ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელა, მაგრამ ძალიან სწორი გზით მიდის. სააკაშვილი ამერიკაშია და მას არავინ დაგაკავებინებს, თუკი ამას ამერიკის შეერთებული შტატები არ მოინდომებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მასალები, რომელიც გამოქვეყნდება, ისეთი ფაქტები დაიდება, რომ ყველა დაინახავს ამ კაციჭამიას ნამდვილ სახეს. მერე თუ უნდათ, თეთრ სახლზე მიამაგრონ მისი სურათი.



**„სააკაშვილი ამერიკაშია და მას არავინ დაგაკავებინებს, თუკი ამას ამერიკის შეერთებული შტატები არ მოინდომებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მასალები, რომელიც გამოქვეყნდება, ისეთი ფაქტები დაიდება, რომ ყველა დაინახავს ამ კაციჭამიას ნამდვილ სახეს. მერე თუ უნდათ, თეთრ სახლზე მიამაგრონ მისი სურათი“**

**„მე ყველა დოკუმენტს გადავცემ პროკურატურას, ვარ მზად ვითანამშრომლო და მივაწოდო ჩემს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რაც მათთვის მნიშვნელოვანია ამ ფაშისტური რეჟიმის გასასამართლებლად. ეს ფაშისტური რეჟიმი აუცილებლად უნდა გასამართლდეს, რადგან ამ ქვეყანაში აღარ მოხდეს სისხლიანი დანაშაულები დემოკრატიის სახელით“**

**— ჩემთან ინტერვიუში არაერთხელ გითქვამთ, რომ გაქვთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელსაც აუცილებლად გადასცემთ პროკურატურას, საიდანაც ღიად ჩანს სააკაშვილის დანაშაული...**

– ეს დოკუმენტები ეხება კონფლიქტის ზონას, მე ვფიქრობ, რომ ჯერ პირველი რიგის ამოცანაა 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება, თუ ვინ მიგვიყვანა ამ კონფლიქტამდე, ვინ იყო მისი ავტორი და შემსრულებელი, ესენი გახლავთ მერაბიშვილი, ბარამიძე, რომელიც ხან თავდაცვის მინისტრი იყო და ხან შინაგან საქმეთა მინისტრი, სააკაშვილზე აღარ ვლაპარაკობ, ეს პროცესები ბოლომდე მივა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ყველა მიიღებს იმას, რაც დაიმსახურა. მე ყველა დოკუმენტს გადავცემ პროკურატურას, ვარ მზად ვითანამშრომლო და მივაწოდო ჩემს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რაც მათთვის მნიშვნელოვანია ამ ფაშისტური რეჟიმის გასასამართლებლად. ეს ფაშისტური რეჟიმი აუცილებლად უნდა გასამართლდეს, რადგან ამ ქვეყანაში აღარ მოხდეს სისხლიანი დანაშაულები დემოკრატიის სახელით.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარ შეცდომებზეც ვერ ისწავლა“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, საქართველოს პარლამენტში, 26 ივლისს, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონების“ თავმჯდომარის, ტარიელ ლონდარიძის მიერ გაკეთებულ განცხადებასა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დეპუტატების მიერ ამ განცხადების მხარდაჭერას ეხმაურება.

„საქართველოს პარლამენტში ფრაქციის თავმჯდომარის გაკეთებული განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარ შეცდომებზეც კი ვერ ისწავლა, ისინი შორს არიან რეალობისგან და ხელისუფლებას მოუწოდებენ, იგივე შეცდომები გაიმეორონ, რაც მათ თავად დაუშვეს 2008 წლის აგვისტოს ომის წინა პერიოდში. შემაშფოთებელია, რომ ტარიელ ლონდარიძის განცხადებას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ომის პირდაპირი პროპაგანდა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დეპუტატების მხრიდან აპლოდისმენტები მოჰყვა. ეს ნიშნავს, რომ მათ სურთ, გეგმები კვლავ საომარი მოქმედებების განხორციელებაზე აიგოს, ვერ ხედავენ, რომ ამ გზით ვერანაირად ვერ მოხდება აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან შერიგება და საერთო სახელმწიფოს მშენებლობაში ამ საზოგადოებების ჩართვა...

„დაუშვებელია, ამ ტიპის განცხადებები რეაქციის გარეშე დარჩეს. ვიმედოვნებ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის განცხადებაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დეპუტატების აპლოდისმენტები მხოლოდ სპონტანური რეაქცია და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მიმართული ეიფორიის ნაწილი იყო. იმედი მაქვს, ისინი გადააფასებენ ამ პოზიციას, საჯაროდ დაგმობენ ომის პროპაგანდას და გააკეთებენ განცხადებებს, რომლებშიც აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან ურთიერთობის ფორმად ომის შესაძლებლობას გამორიცხავენ“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ტარიელ ლონდარიძემ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე გამოსვლისას, რომელზეც მთავრობის დამტკიცების საკითხი განიხილებოდა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთ გზად ომი დაასახელა. (რეპორტიორი)

## კულტურის მინისტრმა მანანა ბერიკაშვილი და ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი გაათავისუფლა



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საკადრო ცვლილებები დაიწყო. მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ თანამდებობიდან უკვე გაათავისუფლა ორი მოადგილე – მანანა ბერიკაშვილი და ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი.

ბაგრატიონ-გრუზინსკის განცხადებით, მან მხოლოდ ის იცის, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თუმცა მიზეზი მისთვის არ აუხსნიათ.

რაც შეეხება მანანა ბერიკაშვილს, მისი თქმით, ახალ მინისტრს თავისი გუნდი სჭირდება და მისი განთავისუფლება ჩვეულებრივი ცვლილებაა.

როგორც თავად მიხეილ გიორგაძე აცხადებს, ის უწყებაში ახალი გუნდით მოდის. (ფრონტნიუსი)



**როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ომარ ნიშნიანიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესწავლისას იმდენი დანაშაული ამოტივტივდა, მასალები აუცილებლად უნდა გადაეგზავნოს მთავარ პროკურატურას. სწორედ ამ საკითხზე იყო მსჯელობა 28 ივლისს ფრაქცია „ქართული ოცნების“ საგანგებო სხდომაზე:**

– ალბათ, იცით, პარლამენტში არსებობს კომისია, რომელიც ყოველწლიურად დებს დასკვნას აუდიტის სამსახურის მუშაობის შესახებ. ამჟამად კომისიის თავმჯდომარე გახლავთ თამაზ მეჭიაური, რომელმაც ფრაქციის სხდომაზე წარმოადგინა ანგარიში. ანგარიშები

# რაზე მოილაპარაკეს „ქართული ოცნების“ საგანგებო სხდომაზე?

ალბათ, გახსოვთ, როდესაც საქართველოს პარლამენტში, 7 მინისტრის გადაყენების შემდეგ, მთავრობის ხელახალი დამტკიცების პროცედურა მიმდინარეობდა, კონტროლის პალატის (ახლა აუდიტის სამსახური რომ ჰქვია) ყოფილმა თავმჯდომარემ, „ნაციონალმა“ დეპუტატმა, ლევან ბეჟაშვილმა ირაკლი ღარიბაშვილს თავხედურად მიმართა: ბატონო ირაკლი, თქვენ თავი მართლა პრემიერ-მინისტრი ხომ არ გგონიათ? სიმართლე გითხრათ, იმ წუთას ძალიან გამიკვირდა და ვიფიქრე, სად ერეკლე, სად – პაპაჩემის ყურებიანი ქუდი-მეთქი? აი, ახლა კი ირკვევა, რამ გაამწარა ასე ლევან ბეჟაშვილი და რამ ათქმევინა ასეთი „ისტორიული“ სიტყვები... მუდმივმოქმედმა საპარლამენტო კომისიამ უკვე დაამთავრა აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესწავლა 2008 წლიდან 2013 წლის ჩათვლით და უკვე დაიდო შესაბამისი დასკვნაც.

**„ზოგადად, გართულებული იყო ქართულისა და უნარ-ჩვევების, ასევე არჩევითი საგნების ტესტებიც, რომელშიც 8 საგანია ჩადებული და მოდით, ერთი წუთით დავეთანხმოთ იმას, რომ ყოველწლიურად გამოცხადებულია, გავართულებთ ტესტებსო, მაგრამ არაპროგრამული მასალა რატომ იდება ტესტში, ამაზე პასუხი არსებობს?“**

წინა წლებშიც იდებოდა, მაგრამ არავითარი რეაგირება არ ხდებოდა, საქმეები იფარცხებოდა. წლევანდელი დასკვნა საკმაოდ მკაცრია და საკმაოდ ობიექტურიც, ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ გადაეცეს მთავარ პროკურატურას. ხომ გახსოვთ, რას შვრებოდა ნათია მოგელაძის უწყება და რა პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა? აუდიტის სამსახური თავის საქმეს კი არ აკეთებდა, სახელმწიფო უწყებებს კი არ ამოწმებდა, რაში იხარჯებოდა თანხები, არამედ, დაკავებული იყო პროვოკაციული საქმეებით. თუ მაინც ამოწმებდა სახელმწიფო უწყებებს, თვალს ხუჭავდა ბევრ დანაშაულზე. ფრაქციის სხდომაზე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ჩვენ არამც და არამც უკან არ უნდა დავიხიოთ, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. არის ერთი მისვლა-მოსვლა, საქმის ჩაწყობის მცდელობა, რომ როგორმე ეს დასკვნა პროკურატურას არ გადაეცეს. აი, ამაზეა საუბარი. ახლა რომ ზოგიერთს გადმოფენილი აქვს ენა და ბევრს ლაპარაკობს, ყველამ თავის დანაშაულში ჩაიხედოს. მაგალითად, დღეს სახელმწიფო აუდიტის დასავლეთ საქართველოს მიმართულებას ხელმძღვანელობს ბეჟან ბუცხრიკიძე.

**— ყოფილი პარლამენტარი?**

– დიახ, 2012 წლამდე მარადმწვანე დეპუტატი იყო, ბოლოს ზესტაფონში იყრიდა კენჭს, გოგი ქავთარაძეს უპირისპირდებოდა. აი, ასეთი პოლიტიკურად ანგაჟირებული „ნაციონალი“ ხელმძღვანელობს დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო აუდიტს. ბოლოს და ბოლოს, რაც მოხდა, ამაზე ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი?

**— დასკვნა მხოლოდ ლევან ბეჟაშვილის „მოღვაწეობის“ პერიოდს ეხება თუ სახელმწიფო აუდიტის ამჟამინდელი უფროსის, კოტე კუბლაშვილის ნათესავის, ლაშა თორდიას საქმიანობაც არის შესწავლილი?**

– კი, თორდიას საქმიანობასაც ეხება.

**— გამოდის, ლევან ბეჟაშვილსა და მის ყოფილ ხელქვეითებს მალე მთავარი პროკურატურისკენ მიმავალ გზაზე ვიხილავთ?**

– დიახ, წარსული ცოდვები ყველას უნდა მოეკითხოს.

**— ნათია მოგელაძე სად ჰყავთ, ისევ აუდიტის სამსახურში მუშაობს?**



**„აუდიტის სამსახური თავის საქმეს კი არ აკეთებდა, სახელმწიფო უწყებებს კი არ ამოწმებდა, რაში იხარჯებოდა თანხები, არამედ დაკავებული იყო პროვოკაციული საქმეებით. თუ მაინც ამოწმებდა სახელმწიფო უწყებებს, თვალს ხუჭავდა ბევრ დანაშაულზე. ფრაქციის სხდომაზე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ჩვენ არამც და არამც უკან არ უნდა დავიხიოთ, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ“**

– მაღალ თანამდებობაზე აღარ ჰყავთ, მაგრამ ისევ მაგ სამსახურში მუშაობს. ჩემი პოზიცია ასეთია: ყველას ყველაფერი უნდა მოეკითხოს და დარწმუნებული ვარ, მოეკითხება! როცა შენ ხარ ქურდი და თან ჭკუას გვასწავლი, ასე არ გამოვა, ასე ქვეყანას ვერ ავაშენებთ.

**— ბატონო ომარ, იქნებ რამდენიმე მაგალითი დამისახელოთ, კონკრეტულად რა დანაშაული აქვთ ჩადენილი?**

– ისინი ამოწმებდნენ სახელმწიფო უწყებებს, სამინისტროებს, აფიქსირებდნენ დანაშაულს და მერე საქმეებს ფარცხავდნენ, დამნაშავეებს ხელს აფარებდნენ. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ განათლების სამინისტროში საეჭვო რაღაცები კეთდებოდა... ხდებოდა უამრავი დარღვევა, შევიდოდა აუდიტი, გადახედავდნენ, გადმოხედავდნენ, არც ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, რაღაცებს აღმოაჩენდნენ, მერე ზე-

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სენატორები დაელოდონ გამოძიებას“



თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ ბრალის წარდგენის ფაქტს ეხმაურება. მისი თქმით, აღნიშნული ფაქტი არის გამაფრთხილებელი ნებისმიერი ხელისუფლებისთვის, რომ თანამდებობა ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს.

„ფაქტია, რომ უმძიმესი დანაშაულების გამოძიებასთან გვაქვს საქმე. ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ ხდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეიარაღებული ძალები იქნა გამოყენებული მოსახლეობის წინააღმდეგ. ველოდები გამოძიებას და მის შედეგებს. მთავარია, რომ გამოძიება იყოს გამჭვირვალე და სასამართლო დამოუკიდებელი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ექვმიტანილების დაცვის უფლება უნდა იყოს გარანტირებული, რადგან არავის, მათ შორის ჩვენს პარტნიორებს, არ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ აქ პოლიტიკური მოტივაციაა. ეს არის გამაფრთხილებელი, პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლებისთვის, რომ თანამდებობაზე ყოფნა ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს“, – განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრი ამერიკელი სენატორების მიერ გავრცელებულ განცხადებასაც გამოეხმაურა.

„ძალიან დიდ პატივს ვცემს ჩვენს მეგობარ სენატორებს. მესმის, რომ მათ აქვთ შეშფოთებები, მაგრამ დაელოდონ გამოძიებას და პატივი სცენ საქართველოს კანონებს“, – განაცხადა ალასანიამ.

ცნობისთვის: ამერიკელმა სენატორებმა განცხადება გაავრცელეს, სადაც აღნიშნულია, რომ სენატორები შეშფოთებულები არიან, რომ საქართველოს მთავარმა პროკურორმა ბრალი წარუდგინა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და წინა ხელისუფლების მრავალ ლიდერს. (ნიუპოსტი)

## „რა დროს „იუკოსის“ ფულია, მალე ევროპაში ომი იფეთქებს...“




ჰააგის სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა დაარღვია ენერგეტიკის ქარტია და მოახდინა საგადასახადო საქმის ინიცირება „იუკოსის“ წინააღმდეგ, მისი გაკოტრებისა და შემდგომი დაუფლების მიზნით. რუსეთის ფედერაციას აქვს ათი დღის ვადა, შეეცადოს გადაწყვეტილების შეცვლა და თუ ეს არ მოხდება, 50 მილიარდი დოლარის გადახდის დაწყება რუსეთს 15 იანვრიდან მოუწევს. თუმცა, Financial Times-ის წყარო, რომელიც პუტინთან დაახლოებულია, აცხადებს, რომ უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო ამ გეოპოლიტიკური გართულების ფონზე, გადაწყვეტილება „იუკოსთან“ დაკავშირებით არაფერს ნიშნავს.

„იფეთქებს ომი ევროპაში და თქვენ ფიქრობთ, რომ იუკოსის 50 მილიარდი დოლარი ვინმეს აინტერესებს?“, – ასეთი კომენტარი გააკეთა მან ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

იუკოსის ყოფილმა აქციონერებმა 28 ივლისს საზეიმოდ აღნიშნეს რუსეთის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში გამარჯვება და ისინი მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში დამარცხებულ მხარესთან დათმობებზე წავიდნენ. ვაჭრობა შესაძლებელია, თუ რუსეთი გადახედავს სისხლის სამართლის საქმეს იუკოსის თანამშრომლების წინააღმდეგ. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

მოდან ვიღაცა დარეკავდა და ეტყოდა: არ გინდათ, საქმე დახურეთ! ესენიც დახურავდნენ და წამოვიდოდნენ უკან. ძალიან დიდი ფული კეთდებოდა, ასევე იღებდნენ მაღალ ხელფასებს და იწერდნენ პრემიებს. აი, ამიტომაც ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი.

**— ანუ თქვენ ფრაქციის სხდომაზე უკვე გადაწყვიტეთ, რომ მასალები უნდა გადაეგზავნოს მთავარ პროკურატურას?**

– რა თქმა უნდა, მასალები პროკურატურას გადაეგზავნება, ჩვენ უკან არ დავიხევთ. ხომ იცით, ქართველები ვართ, იქნება დარეკვები, მაგრამ მაინც არაფერი არ გამოუვათ. მე ვიღაცების დაჭერა არ მიხარია, თუ ვინმემ დანაშაული ჩაიდინა, უნდა დაისაჯოს. ხელისუფლებაში ყოფნა სოციალური კუთხით ისედაც პრივილეგიას ნიშნავს, მაინც მაღალი ხელფასია, სხვა შეღავათებიც არის და ასე შემდეგ, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, თუ ზედმეტად წაგიცდა ხელი, იმ ხელებს მიგამტვრევენ. თავის დროზე გერმანელები მცირე ქურდობის გამოც კი ხელს ჭრიდნენ, დღეს გერმანიაში ქურდობა აღარ არსებობს, მხოლოდ ქართულად წერია მაღაზიების ვიტრინებზე: „არ მოიპაროთ!“ ჩვენც მივალთ აქამდე, ქურდები მკაცრად უნდა დავსაჯოთ, რომ ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ეს აღარ გაიმეორონ!

**— ახლა რა პროცედურაა გასავლელი, ეს საკითხი პარლამენტმა უნდა განიხილოს, ხომ?**

– ამ საკითხის განხილვა და შეფასება მოხდება რიგგარეშე სესიაზე, ამის შემდეგ გადაიგზავნება პროკურატურაში და დაიწყება გამოძიება. ჩვენ შეგვიძლია, ეს საქმე კონტროლზე ავიყვანოთ.

**— სესიაზე „ნაციონალები“ ატეხენ ერთ ამბავს, ეს პოლიტიკური დევნააო.**

– რა თქმა უნდა, დაიწყებენ წიოკს. არა უშავს, ამასაც ავიტანთ. მთავარია, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. ზოგიერთი აქლემის ქურდია და ყოველდღე ნემსის ქურდზე ლაპარაკობს. ასეთებს ჩვენ აუცილებლად გავცემთ საკადრის პასუხს.

**— მიხეილ სააკაშვილი ამბობს, მე და ჩემს თანაგუნდელებს თუ დაგვიჭერთ, მთელი ევროპა და ამერიკა აღშფოთდებაო. მთელ ევროპასა და ამერიკაზე რა გითხრათ, ერთი ჯონ მაკ კეინი კი აღშფოთებულა უკვე, თქვენ არ გეშინიათ?**

– ჩემო გელა, არც ერთ ნორმალურ ადამიანს საკუთარი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის გასამართლება და ციხეში ჩაგდება არ უნდა უხაროდეს, მაგრამ ვინც დაუნდობელი რეჟიმი შექმნა და ვინც ბრძანებებს იძლეოდა, ვის გარეშეც არაფერი კეთდებოდა საქართველოში, მას პასუხი არ უნდა მოეკითხოს? თუ ამ ადამიანს არ ვაგებინეთ პასუხი, სხვას რა მოვკითხოთ, ვინც ძროხას ან პურს მოიპარავს, იმას რა ნამუსით გამოვეკიდოთ? მთავარი დამნაშავე იყო მიხეილ სააკაშვილი, ჩვენ ხომ ამის შესახებ ვიცოდით, თქვენ ხომ ამის შესახებ ყოველთვის წერდით, ეს ყველაფერი ხომ ჩვენს თვალწინ ხდებოდა? ვუყურებდით, გვესმოდა, ხან ვბედავდით ხმის ამოღებას, ხან ვერ ვბედავდით, თუ წინააღმდეგობას გავუწევდით, ოჯახებს დაგვიწიოკებდნენ, შვილს არ დაგვიტოვებდნენ გარეთ, რაღაცას ჩაუდებდნენ, ციხეში ჩაამწყვდევდნენ და მოსპობდნენ. მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობდა ამ სიბინძურეზე. 7 ნოემბრის საქმეს მოჰყვება უამრავი უმძიმესი საქმე, აქ სისტემურ დანაშაულზეა ლაპარაკი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფო უწყება ჩართული იყო ამ სიბინძურეში. მე საკუთარი ყურით მომისმენია, სხვის მოყოლილს არ გეუბნებით, უკვე ხმამაღლა ამბობდნენ, ხომ დავაჩმორეთ ხალხიო?! რას ჰქვია, ხალხი, გალახეთ და ყველა ჩმორად იქცევაო! აი, ამას აკეთებდნენ ესენი და თანაც რა დონეზე, ხომ ვიცით?! ამ ყველაფერს მიხეილ სააკაშვილი ედგა სათავეში. მეტიც, ეს ადამიანი თავის ხელქვეითებს, გუბერნატორებს, მინისტრებს თავში ურტყამდა და ცოლებს უბახებდა!



„არც ერთ ნორმალურ ადამიანს საკუთარი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის გასამართლება და ციხეში ჩაგდება არ უნდა უხაროდეს, მაგრამ ვინც დაუნდობელი რეჟიმი შექმნა და ვინც ბრძანებებს იძლეოდა, ვის გარეშეც არაფერი კეთდებოდა საქართველოში, მას პასუხი არ უნდა მოეკითხოს? თუ ამ ადამიანს არ ვაგებინეთ პასუხი“



„მალე ნახავთ, საქმეები აღიძვრება დამნაშავე დეპუტატების წინააღმდეგაც. იქ რომ მისხედან და ბევრს ლაპარაკობენ, ასე არ არის, პარლამენტარობა არავისთვის ფარი არ არის... ეს დრო მალე დადგება, დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი“

**— სხვათა შორის, მე მახსენდება ერთი პიროვნება, რომელიც 2007 წლის ნოემბერში ძალიან აქტიურობდა, ქუჩაში „ზონდერებს“ დაარბენინებდა და იძახდა: ბადრის რაა?.. რატომღაც დღეს ეს ადამიანი, თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ზაზა ბეგაშვილი გასუსულია და არავინ კითხულობს.**

– ეს ის არის, 7 ნოემბრის შემდეგ ჩინეთში ელჩად რომ გაუშვეს, ხომ? ჯერ მარტო მაგის გულისთვის უნდა დაისაჯოს, რა ამაზრზენი და რა გულისამრევი იყო, გახსოვთ? სხვათა შორის, ფრაქციის სხდომაზე ვანო კილურაძემ ზუსტად ეგ მომენტი გაიხსენა, ახალაიებისა და ბეგაშვილის ბღავილი გაიხსენა, ეს ყველაფერი უნდა ეპატიოს ამ ხალხსო?!

**— ბატონო ომარ, ცოტა ხნის წინ უმრავლესობაში ზოგიერთი აცხადებდა: „ნაციონალების“ გადარჩენა დემოკრატიის ნიშანიაო, სააკაშვილს საქართველოზე მაღალი რეიტინგი აქვსო, თუ „ნაცმოძრაობას“ გადავარჩენთ, მეორე კლასიდან მესამეში გადავალთო... საინტერესოა, ეს ადამიანები კულუარებში რას ამბობენ, ისევ ამ აზრზე არიან?**

– კარგია, რომ ეგ გაიხსენეთ, საკმაოდ ისეთი გამოსვლები ჰქონდათ. ალბათ, ჩემი გამოსვლებიც გახსოვთ, ხომ? ამის მერე მეუბნებოდნენ ხოლმე: ომარ, იქნებ არ არის საჭირო, იქნებ უფრო რბილად მოიქცეო? ახლა მაგათი ხმა რაღაც აღარ გამიგონია, ყურში არ მომხვედრია. შეიძლება კულუარებში ლაპარაკობენ, მაგრამ მე აღარ მესმის. ბოლოს ერთ რამესაც გეტყვით, მალე ნახავთ, საქმეები აღიძვრება დამნაშავე დეპუტატების წინააღმდეგაც. იქ რომ მისხედან და ბევრს ლაპარაკობენ, ასე არ არის, პარლამენტარობა არავისთვის ფარი არ არის.

**— ბატონო ომარ, ამას რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებთ?**

– სამართლიანობის აღდგენის პრინციპზე დაყრდნობით ვაცხადებ. ეს დრო მალე დადგება, დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი.

**„ხელისუფლებაში ყოფნა სოციალური კუთხით ისედაც პრივილეგიას ნიშნავს, მაინც მაღალი ხელფასია, სხვა შეღავათებიც არის და ასე შემდეგ, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, თუ ზედმეტად წაგიცდა ხელი, იმ ხელებს მიგამტვრევენ. თავის დროზე გერმანელები მცირე ქურდობის გამოც კი ხელს ჭრიდნენ, დღეს გერმანიაში ქურდობა აღარ არსებობს, მხოლოდ ქართულად წერია მაღაზიების ვიტრინებზე: „არ მოიპაროთ!“**

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვინ არის „იმედის“ დარბევაზე პასუხისმგებელი“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ბრალის წარდგენას ეხმაურება.

„შეშფოთება და მოწოდება იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება მომავალზე უნდა ფიქრობდეს, სწორია და ქართული ხელისუფლება ყოველთვის იყო და დარჩება ვალდებული, საქართველოს მომავალზე იფიქროს, მაგრამ წარსული დანაშაულებიც მოითხოვს პასუხს.

ყველამ ვიცით, რომ ტელეკომპანია „იმედი“ დაარბიეს, ყველამ ვიცით, რომ 7 ნოემბერს ხალხი დაასახიჩრეს, ჯანმრთელობა დაუზიანეს და მოწამლეს, მაშინ ისმის მარტივი კითხვა: ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი? ქართველმა ხალხმა ვიცით, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი, აქედან გამომდინარე, სამართალი მოითხოვს ამ კითხვებზე ლოგიკური პასუხების გაცემას“, – განაცხადა ქუცნაშვილმა. (ნიუპოსტი)

## ჟინვალის წყალსაცავში მამაკაცი დაიხრჩო



ჟინვალის წყალსაცავში 30 წლის გორელ მამაკაცს მაშველები ამ დრომდე უშედეგოდ ეძებენ. ლერი გაზაშვილი ტბაში ნავით მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, რა დროსაც წყალში გადავარდა. ოჯახის წევრების ინფორმაციით, გაზაშვილმა ცურვა არ იცოდა. სავარაუდოდ, მან ნაპირზე გამოსვლა ვერ შეძლო და დაიხრჩო. ოჯახი დახმარებას ითხოვს.

„ჩემი შვილი ცოცხალი თუ არა, მკვდარი მაინც მომიტანონ. იძახიან, რომ, თუ ვერ იპოვეს, სამძებრო სამუშაოები უნდა შეწყვიტონ. აბა, რის სამაშველო სამსახურია, თუ ვერ ასრულებს საკუთარ მოვალეობას?! ვითხოვ დახმარებას“, – ამბობს დაკარგულის დედა ნელი გაზაშვილი. (ნიუპოსტი)

## გომი-საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



სარეაბილიტაციო სამუშაოები აღნიშნული გზის ორ მონაკვეთზე (კმ25-კმ34; კმ36; კმ43-კმ45) ხორციელდება და ერთობლივად 13.8 კილომეტრს შეადგენს.

გომი-საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზის მეშვეობით, 10-ზე მეტი სოფელი და 15 000-მდე მოსახლე დედაქალაქსა და დანარჩენ აღმოსავლეთ საქართველოს უმოკლესი გზით უკავშირდება. აღნიშნული მონაკვეთი, რიკოთის საუღელტეხილო გზის დაკეტვის შემთხვევაში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ალტერნატიული გზის ფუნქციას ასრულებს. გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. (ნიუპოსტი)

# მამა გიორგი რაზმაძე: „ისინი ჩვენი მანდატით არიან შესულები პარლამენტში და რასაც ხალხი შეუკვეთს, იმაზე უნდა იმღერონ. თუ ასე არ უნდათ, ნეხვიანი კეტებით გავყრით თანამდებობიდან“

**რატომ წაუყენეს ბრალი მიხეილ სააკაშვილის — იყო ეს ხელისუფლების გამბედაობა თუ მოვლენების გადაფარვის მცდელობა? ვინ საუბრობდა სასულიერო პირებთან, რომ არ სურდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და ამ დროს უცხოელებთან ამით ტრაბახობდა?**

**დეტალების შესახებ „ალიას“ ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა გიორგი რაზმაძე ესაუბრა.**

**— მამაო, ბოლო დროს ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ასოცირების ხელშეკრულების მიღების შემდეგ ბევრ „არატრადიციულ“ კანონს მიიღებენ, რადგან ეს არის ვალდებულება. ხოლო „კაზანტიპი“, რომლის აკრძალვის მოთხოვნითაც პრემიერს პეტიცია გაუგზავნეს, სწორედ ასოცირების ხელშეკრულების შედეგიაო.**

– როგორც სასულიერო პირისთვის, ყველაფერი ეს მიუღებელი და ამაზრზენია. ვიცი, რასაც აპირებენ და მზადდება სერიოზული აქცია. გვაქვს ხშირი ურთიერთობა ზუგდიდსა და ანაკლიაში მცხოვრებ ადამიანებთან და ხელმოწერებსაც აგროვებენ, რომ მსგავსი ურჯულოება არ მოხდეს მათ ქალაქებში. სასულიერო პირებიც ჩართულები ვართ ამ პროცესებში და ერთად ვგეგმავთ ყველა ღონისძიებას, რომ არ მივცეთ ამ ფესტივალის ჩატარების უფლება. თქვენ იცით, რომ საპატრიარქომაც გააკეთა განცხადება ამასთან დაკავშირებით, ყველა მორწმუნე ადამიანს უკრძალავს ეკლესია მსგავსი ტიპის ორგიებში მონაწილეობას.

**— მაგრამ ფაქტია, რომ დაგეგმილია და იქ ბევრი აპირებს ჩასვლას, მათ შორის, მორწმუნეებიც იქნებიან.**

– იმ ადამიანებს, ვინც ამას აპირებს, ვპირდებით, რომ ჩავალთ და ამ ურჯულოებას აღვკვეთთ. გამორიცხულია, რომ დავუშვათ ასეთი რამის ჩატარება საქართველოში.

**— როგორც ჩანს, ამ ფესტივალზე უარის თქმას არ აპირებენ, რადგან გარეკლამებულია და უცხოელ სტუმრებს ელოდებიან. რას შეცვლით თქვენ?**

– როცა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, პირად საუბარში დეპუტატები გვეუბნებოდნენ, რომ არ სურდათ ამ კანონის მიღება. ეს მე ხშირად მითქვამს, სხვა სასულიერო პირებსაც და არასდროს გვითქვამს იმ დეპუტატების ვინაობა, ვინც ამას გვეუბნებოდა. ეს იყო საკმაოდ ცნობილი დეპუტატი ქალბატონი უმრავლესობიდან. გვეუბნებოდა, რომ კანონის მიღების წინააღმდეგი იყო. რამდენიმე დღე გავიდა და ვიხილეთ ეს ადამიანი ევროკავშირის წარმომადგენელთან ერთად სხდომაზე და პირველი, რითაც ამაყობდა, ჩვენდა გასაოგნებლად და სამწუხაროდ, იყო ის, რომ აი, პარლამენტმა ასეთი დონის კანონი მიიღოო. თავს იწონებდა ამ საშინელი კანონით. სამწუხაროდ, ეს ადამიანები ორმაგი სტანდარტებით ცხოვრობენ და მუშაობენ. ძალიან ცუდად დაამთავრებენ. რაც „ნაციონალებს“ დაემართათ, ამათ უარესი დაემართებათ. ხალხს ყელში ამოუვიდა და მოთმინების ფიალა ავსებულია, ბოლო წვეთია უკვე და ამას მთავრობაში ვერ აცნობიერებენ. როცა სჭირდებათ, მათხოვრებივით დაწანწალებენ, რომ ხმები მოაგროვონ. დიახ, მათხოვრებივით, შეფასება არის ზუსტი. ახლა მოვიდნენ თანამდებობებზე და ჰგონიათ, რომ ყველაფრის უფლება აქვთ. ამ ადამიანებს უნდა შევახსენოთ, რომ ასე არ იქნება. ისინი ჩვენი მანდატით არიან შესულები პარლამენტში და რასაც ხალხი შეუკვეთს, იმაზე უნდა იმღერონ. თუ ასე არ უნდათ, ნეხვიანი კეტებით გავყრით თანამდებობიდან. ასე დაწერეთ ზუსტად, ნეხვიანი კეტები არ ასცდებათ.

**— მამაო, ძალიან გაბრაზებული მეჩვენებით...**

– როგორ არ გავბრაზდე, როცა ხელისუფლებას ჰგონია, რომ ხალხზე მაღლა დგას და არაფერს ითვალისწინებს ხალხისას. სირაქლემას პოზაში არიან, უგუნური ქმედებებით გამოირჩევიან და ორმაგი სტანდარტებით ცხოვრობენ. ასეთ ადამიანებს რა უნდა ელაპარაკო? ჩვენთან ლაპარაკობენ ერთს, ევროკავშირთან – სხვას. გამოდიან ტრიბუნასთან და თავს იწონებენ. რას ითხოვს ევროკავშირი საქართველოსგან? რომ ურჯულოებაზე გადიოდეს ევროპისკენ მიმავალი გზა? ეს არის საოცნებო გზა? თუ ასეთია ევროპა, ვის რაში სჭირდება ასეთი გათახსირებული პარტნიორი? ასეთი ერთი გათახსირებული კავშირი იყო კომუნიზმის სახით და მოვიშორეთ, ახლა მეორე ნამდვილად აღარ სჭირდება ქართველ ხალხს. თუკი ვინმეს სჭირდება მთავრობასა და ხელისუფლებაში, მათ ერთ რჩევას მივცემ, წავიდნენ, სადაც ასეთი რამეების გაკეთება შესაძლებელია, სადაც ამის კეთების უფლებას ქვეყნის მოსახლეობა და ტრადიცია მისცემს და იქ აკეთონ. ხალხს კი შევახსენებ, რომ ასეთი „კაზანტიპის“ მსგავსი შოუები იდგმებოდა სოდომგომორში და დედა – შვილთან, კაცი – კაცთან, და ძმასთან ცხოვრობდა, დღეს კი ეს მიწა იწვის. ამ ვაიპარლამენტარებს თუ უნდათ, რომ იგივე

*გაგრძელება მეათე გვერდზე*




**„ძალიან მიჭირს სასულიერო პირს ამის აღიარება, მაგრამ მეზიზღებიან ეს „ნაციონალები“, ეს არის სექტა. იმდენად საშინელი ხალხია, რომ ვაღიარებ მათ მიმართ ამ დამოკიდებულებას. იმდენი საზიზღრობა გაუკეთეს ქვეყანას, რომ აღარ მინდა მათზე საუბარი“**



**„ძალიან ცუდად დაამთავრებენ. რაც „ნაციონალებს“ დაემართათ, ამათ უარესი დაემართებათ. ხალხს ყელში ამოუვიდა და მოთმინების ფიალა ავსებულია, ბოლო წვეთია უკვე და ამას მთავრობაში ვერ აცნობიერებენ. როცა სჭირდებათ, მათხოვრებივით დაწანწალებენ, რომ ხმები მოაგროვონ. დიახ, მათხოვრებივით, შეფასება არის ზუსტი. ახლა მოვიდნენ თანამდებობებზე და ჰგონიათ, რომ ყველაფრის უფლება აქვთ“**

**„მთელი მრევლი აპირებს, რომ ჩავიდეს ანაკლიაში სერიოზული შეკრების მოსაწყობად. ეს ყველაფერი პატრიარქისა და ეპისკოპოსების კურთხევით ხდება. მე ვიცი, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან. პირველ რიგში, ეშმაკი. ვინც არის ეს ეშმაკი, თავის გულში ჩაიხედოს, ვინც დაგეგმა ეს ღონისძიება. ეს ადამიანები კულისებში იმალებიან და ძალიან მალე გამოაშკარავდებიან. ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიას ებრძვის“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სააკაშვილი ჩამოვა საჭირო დროს, საჭირო ადგილას“




პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ განცხადებებს პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე აკეთებენ. მიხეილ სააკაშვილისა და კიდევ 4 ყოფილი მაღალჩინოსნისთვის ბრალის წარდგენა, მათი შეფასებით, ოპონენტთა წინააღმდეგ დაწყებული შურისძიების გაგრძელებაა.

„ერთი რუსი ოლიგარქის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, რომელიც მაშინ სახელმწიფომ წარმატებით აღკვეთა, დღეს მეორე რუსი ოლიგარქი პასუხობს იმით, რომ აბსოლუტურად პოლიტიკური რევანშით არის დაკავებული, სწორედ იმ პოლიტიკური გუნდის მიმართ, ვინც საქართველო, მთლიანად ვერა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც სამშვიდობოს გაიყვანა“, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური პროცესების ფორსირება აქვს გადაწყვეტილი.

„ეს სინამდვილეში არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ვენდეტა და პოლიტიკური შურისძიება. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას ის მონაწილეობას მიიღებს სამართლებრივ პროცესში სასამართლოზე, ხოლო როდის ჩამოვა საქართველოში, ნამდვილად არ შეუთანხმებს რუს ოლიგარქს. ჩამოვა საჭირო დროს, საჭირო ადგილას, ის სასამართლოს მისცემს ჩვენებას. მას არ ერიდება ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემა“, – აღნიშნა წიკლაურმა. (ნიუპოსტი)

## სააკაშვილის საქმეზე ჩვენება ირაკლი ოქრუაშვილმა და „იმედის“ ყოფილმა ჟურნალისტებმა მისცეს



საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ჩვენება მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორთან, ვასილ მაღლაფერიძესთან ერთად, ირაკლი ოქრუაშვილმაც მისცა. ყოფილი მაღალჩინოსნების ადვოკატების განცხადებით, პროკურატურის მოწმეთა სიაში არიან ასევე, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტები – სოფო მოსიძე, ეკა სოსელია, დიანა ტრაპაიძე, თეა სიჭინავა, ლევან ჯავახიშვილი და სხვები. ჯერჯერობით ბექა ბასილიასთვის და ოთო კახიძისთვის უცნობია, რა წერია ჩვენებაში, რომელიც პროკურატურას ირაკლი ოქრუაშვილმა და „იმედის“ ყოფილმა ჟურნალისტებმა მისცეს.

„ირაკლი ოქრუაშვილი მიხეილ სააკაშვილთან უკვე აღარ მუშაობდა და შესაბამისად, მას სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მიცემული ვერ ექნება, რადგან ოქრუაშვილი მიხეილ სააკაშვილის მინისტრთა კაბინეტში იმ დროს უკვე აღარ იყო. ძალიან დიდი სიაა მოწმეების. ჯერჯერობით არ ვიცი, რა წერია ჩვენებაში, რადგან ჯერ არ გავცნობივარ საქმის მასალებს. რაც შეეხება ბრალის დადგენილებას, მიხეილ სააკაშვილს ბრალი წაყენებული აქვს ორი მუხლით, ხოლო ადეიშვილს – ერთი მუხლით“, – განაცხადა ოთო კახიძემ. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

გააკეთონ საქართველოში, მე ვარწმუნებ მათ, რომ სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებ მათ წინააღმდეგ. ეს იქნება მშვიდობიანი ბრძოლა, რომ ასეთი გარყვნილება ჩვენს ქვეყანაში არ დავუშვათ. ეს რომ არ გავაკეთოთ, ღმერთის წინაშე რომ წარვდგებით, მკაცრად მოგვეკითხება, მე არ მაქვს არანაირი სურვილი, ასეთი უგნური ადამიანების საქციელზე ვაგო პასუხი.

**— მამაო, ეპარქიებში რა დამოკიდებულებებია, გაქვთ სრული ერთსულოვნება?**

– რა თქმა უნდა. ვინც საღად მოაზროვნე სასულიერო პირია და ცდილობს, მეტ-ნაკლებად ზნეობრივად კარგად იცხოვროს, ასეთი კანონების მიღება და ფესტივალების ჩატარება ყველა სასულიერო პირისთვის მიუღებელია.

**— ამას გეკითხებით იმიტომ, რომ თუნდაც გიორგი სიგუა, თუნდაც ნებისმიერი სხვა ამ ფესტივალში ჩართული პიროვნება, არის მრევლი, ხომ ასეა? სასულიერო პირები ხომ ისაუბრებდნენ მათთანაც იმაზე, რომ მათთვის ეს მიუღებელია?**

– ერთ რამეს გეტყვით, სიგუა არის პატარა პაიკი, რასაც უნდათ, იმას რომ აკეთებინებენ. ის არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებს, რასაც ავალებენ, აკეთებს. აქ დაინტერესებული პირები უფრო მაღალ დონეზეა საძიებელი. ადრეც არსებობდა სიგუასნაირი ადამიანები, მაგალითად, ვილაცას რომ უნდოდა საქმეების კეთება ან საქმეების გარჩევა ვილაცასთან, ერთ-ერთ ასეთ პატარა დონის ნაძირალებსა და ჯიბის ადამიანებს აგზავნიდნენ, რომელიც რაღაც სიტყვას დაასველებდა და საქმე ისე კეთდებოდა, რომ თვითონ ჩრდილში რჩებოდნენ. ამიტომაა სიგუა საცოდავი ადამიანი.

**„თუ ბიზნესი გადის ურჯულოებასა და გარყვნილებაზე, ორგიებსა და მეძავობაზე, ეს ბიზნესი არაა, ამას უკვე სუტენიორობა ჰქვია. კარგად ვიცით, სადაა სუტენიორების ადგილი. ამ ხალხს ბიზნესმენები კი არა, სუტენიორები ჰქვია, რომლებიც ორგიებით ინახავენ თავის თავს და ჯიბეს ისქელებენ. მათი ადგილი ვერ იქნება საქართველოში“**

**— სიგუას გარდა ხომ ბევრი მორწმუნე ადამიანია ხელისუფლებაში?**

– რომელია მორწმუნე, დამისახელეთ! ხიდაშელი? ბესელია? გამაცინებთ. „რესპუბლიკურ“ პარტიაში რომ ადამიანი იქნება, ეს პარტია ხომ ღვთის მგმობთა გაერთიანებაა? იქ მორწმუნეს რა უნდა? არც ერთი ღვთისმოსავი არ უნდა იყოს გაერთიანებული ამ პარტიაში. დიდ პატივისცემას ვადასტურებ ღარიბაშვილის მიმართ, მაგრამ თავისი გამონათქვამებით, სამწუხაროდ, სააკაშვილს ემსგავსება.

**— რა განწყობაა მრევლში, ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებაზე რას გეუბნებიან?**

– მთელი მრევლი აპირებს, რომ ჩავიდეს ანაკლიაში სერიოზული შეკრების მოსაწყობად. ეს ყველაფერი პატრიარქისა და ეპისკოპოსების კურთხევით ხდება. მე ვიცი, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან. პირველ რიგში, ეშმაკი. ვინც არის ეს ეშმაკი, თავის გულში ჩაიხედოს, ვინც დაგეგმა ეს ღონისძიება. ეს ადამიანები კულისებში იმალებიან და ძალიან მალე გამოაშკარავდებიან. ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიას ებრძვის. ჩემი აზრით, ეს ადამიანები უნდა დაიბარონ შესაბამისმა ორგანოებმა და გამოიძიონ მათი წარმომავლობა, დაფინანსების წყაროები, და მიზნები რა აქვთ.



**„სიგუა არის პატარა პაიკი, რასაც უნდათ, იმას რომ აკეთებინებენ. ის არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებს, რასაც ავალებენ, აკეთებს. აქ დაინტერესებული პირები უფრო მაღალ დონეზეა საძიებელი. ადრეც არსებობდა სიგუასნაირი ადამიანები, მაგალითად, ვილაცას რომ უნდოდა საქმეების კეთება ან საქმეების გარჩევა ვილაცასთან, ასეთ პატარა დონის ნაძირალებს და ჯიბის ადამიანებს აგზავნიდნენ, რომელიც რაღაც სიტყვას დაასველებდა და საქმე ისე კეთდებოდა, რომ თვითონ ჩრდილში რჩებოდნენ. ამიტომაა სიგუა საცოდავი ადამიანი“**

**— როცა ამდენი ადამიანი ჩახვალთ ანაკლიაში, შესაძლოა, მოხდეს პროვოკაცია, ხართ ამისგან დაცულები?**

– ფეხზე დგას მთელი ზუგდიდის მოსახლეობა, რომ დაელაპარაკოთ მათ, მიხვდებით, რა სულისკვეთებაცაა მათში. პრემიერი გვარწმუნებდა, რომ ჭიკაიძე ძალიან გაიზარდა, ამიტომ იმედია, რომ დაგვიცავს მოქალაქეებს. ასე თუ არ მოიქცევა, მისი წინამორბედი, ნაძირალა ვანო მერაბიშვილივით დაასრულებს ცხოვრებას.

**— მამაო, ასე რომ აპროტესტებთ ამ ფესტივალს. ამბობენ, რომ ეს არის უზარმაზარი ბიზნესპროექტი, რომელიც მოგებას მოუტანს ქვეყანას და ანაკლიის მაცხოვრებლებსაც.**

– მე მესმის, რომ ეს ობიექტურობისთვის მკითხეთ, თორემ სხვა შემთხვევაში სასაცილოც არ იქნებოდა ამ კითხვის დასმა. თუ ბიზნესი გადის ურჯულოებასა და გარყვნილებაზე, ორგიებსა და მეძავობაზე, ეს ბიზნესი არაა, ამას უკვე სუტენიორობა ჰქვია. კარგად ვიცით, სადაა სუტენიორების ადგილი. ამ ხალხს ბიზნესმენები კი არა, სუტენიორები ჰქვია, რომლებიც ორგიებით ინახავენ თავის თავს და ჯიბეს ისქელებენ. მათი ადგილი ვერ იქნება საქართველოში. ერთი რამ უნდა გაგახსენოთ, ყირიმი, სადაც ეს ურჯულო ხალხი ორგიებს დგამდა, სამუდამოდ დაიკარგა, ახლა რა უნდათ? ანაკლიაც დავკარგოთ? მარგინალი ადამიანები საქართველოში ვერ გაიჭაჭანებენ. ჩვენ უნდა ვიყოთ მტკიცედ, თორემ სულ იქნება ხალხი, ვინც ამ ფესტივალს გაამართლებს. ამაში უხდიან ამათ ფულს. სინოდმა მოუწოდა პარლამენტს, საშინელ კანონს გადახედეთო და ეკა ბესელიამ ისიც კი იკადრა, ამაზე უწმინდესს ვესაუბრეო. ვინ ტყუის? სინოდი თუ ბესელია? პასუხი ხომ ძალიან მარტივია?



**„ხომ კარგად ვიცით ყველამ, რომ სააკაშვილი საქართველოში ჩამომსვლელი არ არის, სად ეყოფა იმდენი ვაჟკაცობა, რომ ხალხს პასუხი გასცეს? მას ეგონა, რომ 30 წელი იქნებოდა ხელისუფლებაში და ხელშეუხებელი იქნებოდა“**

კითხვას ვსვამ, ამ ხალხს რომ ეთქვა, რას აპირებდნენ, ხმას მისცემდა ხალხი? ხმას ვერ იღებდა ამ კითხვაზე ვერც ბესელია, ვერც კობახიძე. მე ველოდები, „კაზანტიპის“ მერე კიდე სხვა რამე გამოჩნდება, რაზეც საზოგადოება აღელდება, ასე მიყოლებით იქნება დაგეგმილი მსგავსი ღონისძიებები, ამიტომ გვმართებს სიფხიზლე. ეკლესია გვასწავლის, რომ მარხვაში ეშმაკი განსაკუთრებით მძლავრობს, ახლა კი სულიერი მხრიდანაც და ხორციელადაც ცდილობს ჩვენს გახრწნას. ეს ადამიანები, ვინც ორგანიზებას უკეთებენ ამ ფესტივალს, ისეთივე სულით გახრწნილები არიან, როგორც სააკაშვილი, პირადი ორგიებით რომ ცდილობდა ორგიების პროპაგანდას. კი მაგრამ, მეძავები საქართველოში არ არიან, იქიდან რომ არ ჩამოიყვანონ?

**„ეს ადამიანები, ვინც ორგანიზებას უკეთებენ ამ ფესტივალს, ისეთივე სულით გახრწნილები არიან, როგორც სააკაშვილი, პირადი ორგიებით რომ ცდილობდა ორგიების პროპაგანდას. კი მაგრამ, მეძავები საქართველოში არ არიან, იქიდან რომ არ ჩამოიყვანონ?“**

ეს ყველაფერი „ნაციონალების“ დროს დაიწყო და შეუქცევადი გახდა. ძალიან მიჭირს სასულიერო პირს ამის აღიარება, მაგრამ მეზიზღებიან ეს „ნაციონალები“, ეს არის სექტა. იმდენად საშინელი ხალხია, რომ ვაღიარებ მათ მიმართ ამ დამოკიდებულებას. იმდენი საზიზღრობა გაუკეთეს ქვეყანას, რომ აღარ მინდა მათზე საუბარი.

**— ბოლოს, პოლიტიკური კითხვა მინდა დაგისვათ, ელოდით, რომ სააკაშვილს ბრალს წაუყენებდნენ?**

– მე ვფიქრობ, რომ ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს, ხომ კარგად ვიცით ყველამ, რომ სააკაშვილი საქართველოში ჩამომსვლელი არ არის, სად ეყოფა იმდენი ვაჟკაცობა, რომ ხალხს პასუხი გასცეს? მას ეგონა, რომ 30 წელი იქნებოდა ხელისუფლებაში და ხელშეუხებელი იქნებოდა. ბოკერიასა და მისი ცოლის მიერ იყო შენთებული კოცონი, რომ მამათმავლებს გადაეყოლებინათ ხელისუფლება. ეს ამბავი არის „კაზანტიპისა“ და კანონების გადასაფარად. ეტყობა, ამას გულისხმობდა ღარიბაშვილი, რომ ამბობდა, ცხელი ზაფხული გელოდებათო.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინის პრეზიდენტის ვებ-გვერდზე კიბერშეტევა განხორციელდა



„კიბერბერკუტის“ ჰაკერებმა პეტრო პოროშენკოს ოფიციალური საიტი დაბლოკეს. ვებ-გვერდთან წვდომა ვერ ხერხდება. ჰაკერთა ჯგუფმა, უკვე გაავრცელა ოფიციალური განცხადება.

ჯგუფის განმარტებით, მათ პრეზიდენტ პოროშენკოს ვებ-გვერდის მუშაობა შეაჩერეს, რადგან ის საკუთარი ხალხის გენოციდს ახორციელებს. ჰაკერები ამბობენ, რომ მანამ არ გაჩერდებიან, სანამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. (ნიუპოსტი)

## „თათბირის შესახებ პროკურატურას ჩვენება მივეცი“

ვასილ მაღლაფერიძემ გამოძიებას იმ თათბირის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, სადაც 2007 წელს 7 ნოემბრის აქციის დარბევა დაიგეგმა. იმ დროისთვის მაღლაფერიძე მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი იყო:



„ჩვენება მივეცი პროკურატურაში, მოკლე საუბარი გვქონდა, მკითხეს, ვადასტურებდი თუ არა ინფორმაციას, რომელიც მე მივაწოდე სახალხო დამცველს 2007 წლის 5 ნოემბერს, ცხადია, მე განვაცხადე, რომ ვადასტურებდი. საუბარი იყო თათბირის შესახებ, როგორ უნდა დარბეულიყო, როგორ უნდა მომხდარიყო ხალხის დარბევა“, – განაცხადა მაღლაფერიძემ. (ნიუპოსტი)

## ყალბი ფულის გასაღებაზე 2 პიროვნება დააკავეს



საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, თურქეთის მოქალაქეები ფათიჰ სანჯაქთუთანი და აიჰან ფეჰლივანი დააკავეს. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა ერთ-ერთ მოქალაქეზე 6 000 ყალბი თურქული ლირა გაასაღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქ/პუნქტით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

## ქუთაისის გზაზე ავარიას გამომძიებელი ემსხვერპლა

ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე 28 ივლისს მომხდარ ავარიას ორი ადამიანი ემსხვერპლა. არსებული ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის გამომძიებლის იაგო ფუტკარაძის ავტომანქანა სავალი გზიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა, რის შედეგად გამომძიებელი მშობელთან ერთად ადგილზე გარდაიცვალა.




შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# ქართული ენის კანონის დარღვევისთვის სანქციები დაწესდება

29 ივლისს პარლამენტის კომიტეტებში სახელმწიფო ენასთან დაკავშირებით მეცნიერ-აკადემიკოსების მიერ შეთავაზებულ საკანონმდებლო წინადადებაზე იმსჯელეს. პროექტი პარლამენტს აკადემიკოსების: თამაზ გამყრელიძის, ჯონი ხეცურიანის, მზექალა შანიძისა და გუჩა კვარაცხელიას, ასევე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ავთანდილ არაბულისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ლევან ღვინჯილიას სახელით წარედგინა.

კანონპროექტი მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასა და ენის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცებას, ასევე სახელმწიფო ენის დაცვის სპეციალიზებულ ინსტიტუტებად სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედ სახელმწიფო კომისიას განსაზღვრავს. კონკრეტულად რაზე იყო საუბარი? დღეს რა მდგომარეობა გვაქვს ენასთან დაკავშირებით და რა უნდა შეიცვალოს?



**„ალიას“ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული ესაუბრა:**

– ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ რომ, ფაქტობრივად, თვითდინებაზეა მიშვებული სახელმწიფო ენის საკითხი. ადრე არსებობდა სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი კომისია, სახელმწიფო ენის პალატა, პარლამენტში არსებობდა სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი, რაც დღეს აღარ არსებობს, ანუ ინსტიტუცია არ არის სახელმწიფოში, რომელიც უპატრონებდა სახელმწიფო ენას. ამ თვალსაზრისით ერთადერთი ენათმეცნიერების ინსტიტუტია დარჩენილი და ისიც სულს ღაფავს. ამიტომ, როცა „ქართული ოცნების“ სარჩევნო პროგრამა გაკეთდა 2012 წლის არჩევნების წინ, იქ საგანგებოდ იყო საუბარი სახელმწიფო ენის შესახებ და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართული ოცნების“ ლიდერებმა რამდენჯერმე ხაზგასმით თქვეს, რომ სახელმწიფო ენა მისახედია, მაგრამ ამ მიმართულებით ნაბიჯები ვერ გადაიდგა, რადგანაც არ აღმოვჩნდით მზად იმისთვის, რომ ამ კანონისთვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა ყოფილიყო, რომლის საფუძველზე უნდა აღდგეს შესაბამისი ინსტიტუციები. ამის მცდელობა იყო სწორედ ჩვენი ინიციატივა, რომ მრავალტანჯული კანონპროექტი, რომელიც უკვე დიდი ხანია, შექმნილია, ახლა მაინც იქნეს პარლამენტში განხილული და მიღებული.

**— როგორ ფიქრობთ, რა უნდა შეიცვალოს სახელმწიფო ენასთან მიმართებაში და რატომ?**

– არ არის დარეგულირებული გარე წარწერები, მარტო თბილისი რომ ავიღოთ, თუ წინასწარ არ იცის, კაცი ვერ მიხვდება, რა ქალაქშია, ისეთი წარწერებია გარშემო. არადა სხვა ქვეყნებში ამას კანონი იცავს. ამის გარდა, ენის დაცვის მხრივ მისახედია მასმედიაც, ასევე სამეცნიერო ტექნოლოგიური დარგები, რომელთა ტერმინოლოგია, რომელიც საბჭოთა პერიოდში რუსული ენის მიხედვით დადგინდა, არ შეცვლილა. არადა, დრომ მოიტანა და ახალი ტერმინოლოგია გაჩნდა, თუნდაც კომპიუტერულ სფეროში, მოგეხსენებათ, რა რაოდენობის ტერმინები შემოდის პირდაპირ ინგლისურიდან. ანუ ტერმინოლოგიური სტანდარტებია მისაღები და უნდა არსებობდეს შესაბამისი ტერმინოლოგიური კომისია. მოკლედ, თავზე საყრელი პრობლემებია და ამ ყველაფრისთვის საჭიროა საკანონმდებლო უზრუნველყოფა. გარდა ამისა, საგანგებო საზრუნავია ჩვენი რეგიონების მოსახლეობა, რომლებიც 90-ანი წლებიდან მოყოლებული მთლიანად მოწყვეტილია ქართულ სახელმწიფო ენას და, ფაქტობრივად, ეს ადამიანები სახელმწიფო ენას ვერ ფლობენ. ჯერჯერობით სახელმწიფო ამ მოთხოვნას ვერ პასუხობს და საამისოდ საგანგებო პროგრამებია დამუშავებული, რათა არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლება გაძლიერდეს.

**— როცა ასოცირების ხელშეკრულებაზე დაიწყო საუბარი, ჯავახეთიდან ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციიდან გაისმა, სომხურს რეგიონალური ენის სტატუსი მიენიჭოსო. რაზეც უფლებადამცველმა არნოლდ სტეპანიანმა განაცხადა, ეს პროვოკაციაა, ასეთი არასამთავრობო ბუნებაში არ არსებობსო. ანუ ეს საკითხიც მოსაგვარებელია.**

– სხვათა შორის, დღევანდელ განხილვას ესწრებოდა ჯავახეთის დეპუტატი პოღოსიანი, რომელმაც გონივრული კითხვები დასვა. განხილვაზე არანაირი წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია, არც პროვოკაციას არ ჰქონია ადგილი, კითხვები დაისვა სრულიად ლოგიკური და პასუხებიც შესაბამისი იყო. თუმცა, შეიძლება, ამ პროექტთან დაკავშირებით ვიღაცამ პრობლემა ააგოროს, როგორც ეს გასულ სექტემბერს მოხდა, აგვიგორეს ჟურნალისტების ენის თემა და დაჯარიმებას გიპირებენო.

**— ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობდა გუგული მაღრაძე, რომელიც თავად ვერ ლაპარაკობს გამართული ქართულით.**

– აქ ერთი საკითხია: არსებული კანონი არ ავალდებულებს მოქალაქეს, იცოდეს ქართული ენა, სახელმწიფო ენის ცოდნას ავალდებულებს მოხელეს, მაგრამ არა მოქალაქეს, რადგანაც, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მოსახლეობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გახდა მოქალაქე და მაშინ ენის პირობა არ დამდგარა.

**— ჩემი აზრით, ძალიანაც მიგვიქარავს! ძალიან ცუდი, თუ არ დამდგარა.**

– კი, კი, მაგრამ ეს ფაქტია და ამ ეტაპზე ამას ვერ შევცვლით, სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს კანონში, რომ, როცა ნატურალიზაციის წესით იღებს ადამიანი მოქალაქეობას, მას უკვე მოვთხოვთ სახელმწიფო ენის ცოდნას და ის შესაბამის გამოცდას ჩააბარებს. სექტემბრიდან დავიწყებთ ამ კანონის განხილვას კომიტეტებში და ეს კომიტეტები კი თბილისში იმუშავებენ. გარდა ამისა, კანონში გათვალისწინებულია გარკვეული სანქციები ენობრივ დარღვევებთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ არასწორად იქნება წარწერა, აბრა, ამას მოჰყვება ჯარიმა. დასაწყისში მოხდება წინასწარი გაფრთხილება და, თუ არ მოხდება რეაგირება, მოხდება დაჯარიმება და ჯარიმები განისაზღვრება კონკრეტულად. ანუ იარსებებს სანქციები ენის კანონის დარღვევისთვის.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

# ვანო მერაბიშვილის დავალებები 4 ნოემბრის თათბირზე

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი, ვასილ მაღლაფერიძე იხსენებს 4 ნოემბერს, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში გამართული თათბირის დეტალებს. ეს თათბირი პროკურატურის მიერ მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალდების წაყენების დოკუმენტში მოხვდა. თავად ვასილ მაღლაფერიძე პროკურატურამ 2 კვირის წინ დაკითხა. მისი ინფორმაციით, შეკითხვები სწორედ 2007 წლის 4 ნოემბერს შეეხებოდა.

მაღლაფერიძემ მეორე დღეს შეხვედრის დეტალები ფურცელზე გადაიტანა, მაგრამ ტექსტის წერისას არ იცოდა, კონკრეტულად ვისთვის აპირებდა მის მიწოდებას. აცხადებს, რომ მაშინდელი სახალხო დამცველისთვის, სოზარ სუბარისთვის ჩანაწერების მიწოდება მაშინ გადაწყვიტა, როცა დარწმუნდა, რომ ის ერთადერთი სახელმწიფო თანამდებობის პირი იყო, ვინც ჩანაწერებს ადეკვატურად გამოიყენებდა. თავად სოზარ სუბარი, უფლებამოსილების ამოწურვამდე, ამ დღის დეტალების გასარკვევად, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა.

გთავაზობთ ამონარიდებს ვასილ მაღლაფერიძის ტექსტიდან:

„მერაბიშვილის სამუშაო მაგიდის მარჯვნივ მართკუთხა მაგიდის ერთ თავში იჯდა ზურაბ ადეიშვილი, მისგან მარცხნივ, კედლის მხარეს ზურაბ მელიქიშვილი, ოთარ სირაძე (რაჭის გუბერნატორი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლისას გამორჩა), შიდა ქართლის გუბერნატორი, ამირანი მესხელი(?) და თვითონ ვანო. მაგიდის მეორე თავში ისხდნენ დავით კეზერაშვილი და დათა ახალაია. მეორე მხარეს დავით კირკიტაძე, აკაკი ბობოხიძე, გოგა ხაჩიძე, მე, ვასილ მაღლაფერიძე (მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი) და გოკა გაბაშვილი. ჩვენს უკან სკამზე იჯდა ახალგაზრდა ბიჭი, ალბათ, ვანოს თანაშემწე.

დაიწყო ვანომ, ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო. პირველი, უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდებაო. ეს მხიარული (ზუსტად ეს სიტყვა გამოიყენა!) ნაწილია იმისა, რაც უნდა გითხრათ, ახლა კი სერიოზულ ნაწილზე გადავიდეთო და მონოლოგის სახით გვითხრა:

„ეს ნაძირალები ძალიან გაბლატავდნენ, ორ დღეში მოინდომეს იმის წაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით. მართალია, დიდი არაფერი ძალა არა აქვთ, მაგრამ აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება. კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან მართლაც არ ჩამოსულა ბევრი ხალხი, მაგრამ ვინც ჩამოვიდა ან აწი ჩამოვა, ყველას უნდა მიხედვა. უკვე დავალებული აქვს კონსტიტუციურს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოთ ამ პროცესში, შეადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. არა სახალხოდ, სათითაოდ. მაგალითად, გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსულ ადამიანს უკან გზაზე გააჩერებენ, მაგალითად, ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმელებს. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას (სიცილით!)“.

– მე არაფერი გამიგია, ჩუმად ვარ და რომ მორჩება ყველაფერი, მერე გეტყვით, რას ვფიქრობ, – ეს იყო ერთადერთი და ღიმილით წარმოთქმული რეპლიკა, რომელიც ადეიშვილმა ჩემს იქ ყოფნაში თქვა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შიგადაშიგ ორიოდე წამოძახილს: „დავიჭიროთ“, „დედა მოვუ...ნათ“).

„მოკლედ, ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად თირკმელებში, მუცელში, ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან“.

ჩემგან მარჯვნიდან, კეზერაშვილისგან ან ახალაიასგან (ბობოხიძე და კირკიტაძე ნამდვილად არ იყვნენ, მათ ხმას კარგად ვცნობ) ისმის სიცილნარევი რეპლიკა: „განსაკუთრებულ შემთხვევაში სახეშიც შეიძლება!“



ვანომ განაგრძო: „განსაკუთრებულში აუცილებელიც კია, ოღონდ განსაკუთრებულში, ასეთებიც ბევრი ვიცით (იცინის!). ვინც ცოტა „მოშავოა“ ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში ნარკოტიკი და ბაჩოსთან. გარეთ ერთი ახალაია მოუვლით, შიგნით მეორე ახალაია დახვდებათ... ცემა არის აუცილებელი, იმიტომ რომ რაიონებში ჩადიან მიტინგებზე ნამყოფი ადამიანები და იწყებენ იქ ბლატაობას და ხალხის შემოკრებას, გალახული კაცი კიდე არის ჩმორი საქართველოში და კარგავს ეგრევე გავლენას... ლაპარაკია, ამ ბოზების ბოლომდე ჩატ...აზე. შექმნით ჯგუფებს, პირველად რომ დაბეთქავენ ვიღაცას, მერე ისეთ აზარტში შევლენ, ვერ გააჩერებთ. ეს ბევრჯერ გამოვცადეთ. ორი საქმე კეთდება, ბოზები იტ...ან და ჩვენი რიგები მტკიცდება. არ შეიძლება, ახლა ჩვენ ერთმანეთზე ვეჭვიანობდეთ, ასე გადავჭამთ ერთმანეთს. ამიტომ ვინც ჩვენიანია, საქმით უნდა დაამტკიცოს. თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ კეზერაშვილს უთხარით და მიხედავს. ეპარქიებთან იმუშავეთ, იმ ბიზნესმენებთან, ვინც ეპარქიებს ეხმარებიან, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონ. მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი, ეგეთი ტიპები, დაურეკეთ, გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ მოისყიდეთ, ოღონდ ფული არ მომთხოვოთ (იცინის)... ეს სასწრაფოდ გასატარებელი ღონისძიებებია, დანარჩენს მერე მოვ...ავთ დედებს, ერთი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ. მთავარია, მიტინგზე წასვლის შეეშინდეთ, ცემა არის ამის წამალი. გაიგეთ, ვინ არიან, მათი ნათესავები, მამა, ბიძაშვილი, ზოგზე ასე ვიმოქმედებთ, ზოგზე ისე, ზოგი გაილახება, ზოგთან ფინანსური შევა, ზოგს ჯიბეში ნარკოტიკი. ყოფილი პოლიციელები გამოსულან მიტინგზე, დედებს მოვ...ვთ, უკვე მოვნახეთ წესიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატიმრები, რომლებიც დაწერენ, როგორ აწამებდნენ ის პოლიციელები თავის დროზე. ამათ გავუნახევრებთ, იმათ შევყრით. ახლა არის გადამწყვეტი მომენტი და მთავარია სიმტკიცე...“

წამოვედით, დარჩნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა, კეზერაშვილი, ახალაია, გაბაშვილი, კირკიტაძე, ნაცვლიშვილი, შეიძლება ვინმე სხვაც.



ნინო სარიშვილი

# რა ინფორმაციების გავრცელება აიკრძალება კანონით?

**პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს მხარი დაუჭირა. ცვლილებებით კონკრეტდება ის საკითხები, რომლებიც შეიძლება პერსონალურ მონაცემად ჩაითვალოს და პიროვნების ნებართვის გარეშე მისი გავრცელება აკრძალულია.**

**კონკრეტულად რას მოიცავს ეს კანონპროექტი და როგორ აისახება მოქალაქეებზე?**

**„ალიას“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექციის აპარატის კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი, ნინო სარიშვილი ესაუბრა:**

**— ქალბატონო ნინო, რა არის ის მნიშვნელოვანი, რაც ამ კანონპროექტის შესახებ უნდა იცოდეს საზოგადოებამ?**

– სანამ ინსპექტორის ინსტიტუტი შეიქმნებოდა, მანამდე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის შესახებ კანონი, რომლის შემდეგაც მოხდა ინსპექტორის აპარატის ფორმირება. ამ კანონის მიღება და საზედამხედველო ორგანოს შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებით იყო განპირობებული. პირველ რიგში ეს იყო საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რადგან, მოგეხსენებათ, არაერთი საერთაშორისო დოკუმენტია რატიფიცირებული, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში ცალკე კანონის არსებობას, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და პირადი ინფორმაციის დაცვას დაარეგულირებს, ასევე ეს ვალდებულებები ითვალისწინებს ქვეყანაში ცალკე დამოუკიდებელი, ქმედითი და ეფექტური საზედამხედველო ორგანოს შექმნას. გარდა ამისა, იმ ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, რასაც მთელ მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში აქვს ადგილი, მოგეხსენებათ, ინერგება სხვადასხვა ელექტრონული პროგრამები, იქმნება მონაცემთა ელექტრონული ბაზები, შემდგომ ხდება ამ მონაცემთა ბაზების დამუშავება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ეს კი განაპირობებს თემის აქტუალობას და რეგულირების საჭიროებას.

**— განხილვისას ინფორმაციის გასაჯაროების დაუშვებლობაზე იყო საუბარი. რა სახის პირადი ინფორმაციის გასაჯაროება არ შეიძლება ამ ცვლილების მიხედვით?**

– ცალსახად რომ გითხრათ, ამა და ამ სახის ინფორმაციის გასაჯაროება იკრძალება-მეთქი, ასე არ არის. ყველა კონკრეტული შემთხვევა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად. მაგალითად, უნდა იყოს თუ არა დაცული საჯარო მოხელის ხელფასის შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციის გასაჯაროების პრობლემა არ იქნება, არ ირღვევა კანონი, თუ ეს არის მაღალი თანამდებობის პირი. მისი ანაზღაურების, პრემიების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება არის მართლზომიერი და კანონიერი. მეორე შემთხვევაში, თუ ეს რიგით საჯარო მოხელეს, მაგალითად, სპეციალისტს ეხება, ამის პერსონიფიცირებულად გასაჯაროება, თუ არ იქნება ამ პირის თანხმობა, დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს. ბოლო დროს, ძალიან აქტუალური იყო ე.წ. ქოლ ცენტრების, ანუ სხვადასხვა სახის მომსახურების ცენტრების ტელეფონის ნომრების გავრცელება ინტერნეტით და ამას ჰქონდა გასართობი, დაცინვის ხასიათი. მსგავსი ჩანაწერის გავრცელება ჩაითვლება არამართლზომიერ ქმედებად და იქნება კანონმდებლობის დარღვევა. მთავარი არის ის, რომ როცა ინფორმაციის გამჟღავნება ხდება, უნდა გაირკვეს, რა მიზანს ემსახურება ეს, ვინც ამჟღავნებს, აქვს თუ არა მას სამართლებრივი საფუძველი, და ეს გამჟღავნება ხომ არ იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას. ეს არის მთავარი პრინციპები.

**— მაგალითად, როგორც ჟურნალისტს, ხელში ჩაგვივარდა მსგავსი სახის ვიდეო, ფოტო ან ინფორმაცია, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?**

– ზოგადად, როცა რაიმეს გამოქვეყნებას აქვს საზოგადოების ინფორმირების მიზანი, ამ შემთხვევაში კანონის დარღვევასთან საქმე არ გვაქვს, მაგრამ გარკვეული ეთიკის მომენტთან შეიძლება გვქონდეს შეხება.

– რა სახის პირადი ინფორმაციის გამოქვეყნება გვეკრძალება, თუ საქმე ეხება ცნობილ პირს?

– თანამდებობის პირებთან დაკავშირებით მოქმედებს ე.წ. თმენის ვალდებულების პრინციპი, რაც იმას გულისხმობს, რომ მათი საქმიანობის, თუნდაც პირადი ცხოვრების მიმართ საზოგადოების ინტერესი არის ბევრად მაღალი. ამ შემთხვევაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც პრესის თავისუფლებასაც მოიაზრებს, არის გარანტირებული ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით. თქვენ ამ ნაწილში კანონი გიცავთ. პრესას შეუძლია, იმსჯელოს ცნობილი ადამიანის ცხოვრებასთან დაკავშირებულ დეტალებზე. როცა ესა თუ ის პირი თანხმდება იმაზე, რომ დაიკავოს თანამდებობა, მას გაცნობიერებული აქვს, რომ მის მიმართ საზოგადოების ინტერესი იქნება მაღალი და მისი პირადი ცხოვრებაც გახდება განხილვის საგანი.

**— კი, მაგრამ ჩვენც დაგვიწერია კონკრეტული ადამიანების პირად ცხოვრებაზე და მერე ისე ხდებოდა, რომ სასამართლოში გვიბარებდნენ, ამ შემთხვევაში როგორ იქნება?**

– თუ გამოქვეყნებული ინფორმაცია არის სიცრუე, არ ასახავს რეალობას და ამით ხდება კონკრეტული თანამდებობის პირის, ან პოლიტიკოსის ღირსების შელახვა, რა თქმა უნდა, სასამართლოში შეუძლია იჩივლოს და თუ დაამტკიცებს, რომ ცილისწამებას ჰქონდა ადგილი, გამომქვეყნებელს დააკისროს ჯარიმა. თუმცა პერსონალური ინფორმაციის დაცვის კუთხით და იმის გათვალისწინებით, რაზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, ჩვენს კომპეტენციას ეს არ ეხება. პერსონალური ინფორმაცია არის ნებისმიერი, სახელი-გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, რომლითაც შეიძლება, პირის იდენტიფიკაცია მოხდეს.

მაგალითისთვის გეტყვით: დღეში რამდენიმეჯერ მოგვდის სპამ-შეტყობინებები, დარწმუნებული ვარ, თქვენც მოგდით, რადგან ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, ვინც ამაზე არ წუხდეს, ხშირად მისდით საბურავების შესახებ შეტყობინება, როცა ამ დროს საერთოდ არ ფლობენ ავტომობილს, ეს ეხება პერსონალური მონაცემების დაცვას.

**— ამ შემთხვევაში თქვენ რა ბერკეტი გაქვთ და როგორ დამიცავთ?**

– კანონით, ეს არის მარკეტინგი, სარეკლამო ხასიათის ქმედება და სარეკლამო ესემესების გაგზავნისას კანონი ითვალისწინებს ცალკე რეგულაციას. თუ თქვენ არ გნებავთ ეს შეტყობინებები მიიღოთ, თქვენ გაქვთ უფლება, დაუკავშირდეთ შეტყობინების გამომგზავნს და უთხრათ, რომ შეწყვიტოს მათი გამოგზავნა.

**— და თუ არ შეწყვიტა?**

– ის ვალდებულია, 10 დღეში თქვენი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. დღეს ამ მიმართულებით გარკვეული პრობლემაა, რადგან ეს კომპანიები კერძოა და მათ მიმართ კანონი სრულად ამოქმედებული არ არის. ცვლილებები 2016 წელს უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ ვადები გადმოიწევს და ამოქმედდება 2014 წლის 1-ლი ნოემბრიდან. თუ კომპანია, მიმართვის შემდეგაც არ შეწყვეტს თქვენთან მესიჯების გამოგზავნას, მაშინ მოგვმართავთ ჩვენ, ჩვენ კი მათ გავაფრთხილებთ და შემდეგ შევძლებთ, დავაკისროთ მათ ფინანსური ჯარიმა.

**— რა თანხაზეა საუბარი და ვის გადაუხდიან ამას?**

– საუბარია ადმინისტრაციულ ჯარიმაზე და მაქსიმალური იქნება 10 000 ლარი.

**— თუ პიროვნებასთან შეუთანხმებლად გავავრცელე მისი პირადი ინფორმაცია, რით ვისჯები?**

– ჯარიმით, მაგრამ რამდენით, ინდივიდუალური განხილვის შემდეგ დადგინდება.

**— თემა მიება ვიზა-ლიბერალიზაციას. რა კავშირშია ეს ამ კანონთან?**

– ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ მიმდინარეობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე მოლაპარაკებები და ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის წარმოდგენილი იქნა სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა შეასრულოს საქართველომ, რომ მოხდეს სავიზო რეჟიმის გამარტივება. ამ გეგმაში რამდენიმე აქტივობაა გაწერილი და ერთ-ერთი არის ის თემა, რაზეც ახლა ვსაუბრობთ. ეს უნდა მოხდეს როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში დანერგვა. მოთხოვნაა, რომ ჩვენი კანონმდებლობა მაქსიმალურად იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. თუ ეს ყველაფერი არ დაინერგა პრაქტიკაში, ვერ მოხდება ვიზის ლიბერალიზაცია.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზუგდიდის გამგეობაში საკადრო წმენდა დაიწყო



ახლად არჩეულმა გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ უწყებაში თანამშრომლების განთავისუფლება დაიწყო. წყარო, რომელიც თავად გახდა გამგებლის მსგავსი გადაწყვეტილების ობიექტი, სააგენტოსთან საუბრისას აცხადებს, რომ საკადრო წმენდა არასამართლიანად მიმდინარეობს.

„სამსახურიდან გაგვიშვეს ის ადამიანები, რომლებიც უკვე მესამე წელია, „ქართული ოცნების“ გვერდით დგას და 2012 წლის და მომდევნო არჩევნებშიც დიდი წვლილი აქვს შეტანილი კოალიციის გამარჯვებაში. ძველი თანამშრომლები კი, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაღალ თანამდებობებზე რჩებიან. მათ შორის არის თენგიზ შანავა – ადმინისტრაციის უფროსი, რომელიც საზოგადოებასთან არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაშიც კი არის შემჩნეული, მათ შორის, სატელევიზიო კამერებთან. გარდა ამისა, წინა ხელისუფლების დროს სწორედ შანავა და მისი თანამშრომლები იყვნენ ყველა ბინძურ საქმეში გარეული, რაც ხდებოდა ზუგდიდში ბიზნესწილების მოთხოვნასა და სხვა საქმეებთან დაკავშირებით. ალბათ, ჩვენს გამგებელს სწორედ ასეთი ხალხი სჭირდება, სხვა მიზეზს ვერ ვხედავ – ისინი დატოვეს, ჩვენ გამოგვყარეს და გამგებელმა ჩვენთან შეხვედრაც კი არ ისურვა. მხოლოდ ბოდიში შემოგვითვალა, ადგილები არ გვაქვსო“, – აცხადებს სააგენტოს წყარო, რომელიც გასაგები მიზეზების გამო მისი ვინაობის გასაჯაროებაზე უარს ამბობს.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ვითარება არ გამოსწორდება, არაა გამორიცხული, ზუგდიდში საპროტესტო აქციები დაიწყოს, რადგან საჯარო უწყებებიდან კიდევ ბევრი თანამშრომლის განთავისუფლება იგეგმება. (ფრონტნიუსი)

## „ნაციონალური მოძრაობა“ არის სიცრუესა და დემაგოგიაზე დაფუძნებული სექტა“



ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი კახა კალაძე მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენებას გამოეხმაურა. მისი თქმით, პროკურატურამ ყოფილ პრეზიდენტს მძიმე ბრალდებები წაუყენა.

„ძალიან მძიმე ბრალდებებია, რაც პროკურატურის მხრიდან მოვისმინეთ. „ნაციონალური მოძრაობა“ არის სიცრუესა და დემაგოგიაზე დაფუძნებული სექტა. ამ ადამიანებმა ძალიან მძიმე ლაქები დატოვეს ჩვენს ქვეყანაში, მოსახლეობაში და ალბათ, წლები დასჭირდება, რომ ეს ყველაფერი დაავიწყდეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს“, – განაცხადა კალაძემ. (რეპორტიორი)

## „საქართველოს სირცხვილი“

The Wall Street Journal საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისთვის ბრალის წარდგენას ეხმაურება და მიიჩნევს, რომ „პოლიტიკური შურისძიება პოსტსაბჭოთა ქვეყნის იშვიათ წარმატებას საფრთხეს უქმნის“. წერილში საუბარია იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილის მემკვიდრეები, მის მონაპოვარს ანადგურებენ, რადგან ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა „ქართულმა ოცნებამ“ მიხეილ სააკაშვილის მოკავშირეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა და ბრალი წაუყენა თავად ყოფილ პრეზიდენტს, რაც აშკარა პოლიტიკური შურისძიებაა.

ამის მტკიცებულებად სტატიის ავტორს გიგი უგულავას დაკავების ფაქტი მოჰყავს და წერს, რომ დასავლეთს თბილისზე გავლენა აქვს და ეს გამოყენებული უნდა იყოს. (ნიუპოსტი)

## ნინი შერმადინი საკუთარი „გარდაცვალების“ მიზეზის დადგენას ითხოვს



ცნობილი ქართველი მომღერალი ნინი შერმადინი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე შემდეგი სახის სტატუსს აქვეყნებს:

– ჩემზე ჭორი გავრცელებულა, გარდაიცვალაო, და რითი, იქნებ ესეც გამირკვიოთ? :))))

ამ სტატუსს „ფეისბუკელი“ მეგობრების გამხიარულება და სახალისო კომენტარებიც მოჰყვა:

– არ დაიჯერო, ნიინ, – წერს ერთი, – ძალიან დიდხანს იცოცხლეეებ, ხოლო მეორემ გარდაცვალების მიზეზიც დაადგინა:

– მომატებული სიყვარულით გარდაიცვალაო.

ლაშა ონიანის კომენტარს: „ამ ჭორზე არაფერი გამიგია“, მომღერლის ამგვარი პასუხი მოჰყვა:

– ნოდიკომ გამომიტირა უკვე...

*newposts.ge*

## ეკო ფანგანი ბანჯგვლიან ქართველ „ვაჟკაცს“ აფურთხებს



– სრულიად ბანჯგვლიანი ქართველი ვაჟკაცი გაგორებულა მზეზე და გოგონა (სავარაუდოდ, ცოლი) ჩქარ-ჩქარა უსვამს მზისგან დამცავ კრემს ფეხებსა და ხელებზე, კომენტარებით, ხელი გადმოაბრუნე, ფეხი აწიე! კაცი თან წარმოიდგენს, ფეხები და ტანი რომ გაიპარსო, მაგარ ნაშებს ვაჯობებდიო!!! თან უცებ ამბობს: „მუხლზე დამრჩა კრემი, წესიერად შემაზილე, „ფთუი“.

აჭარის პლაჟზე მომხდარი ამბავი ტელეწამყვანმა ეკო ფანგანმა „ფეისბუკზე“ დაწერა. ეკოს მეგობრებიდან ზოგი იუმორით შეხვდა მონაყოლს და წერდნენ, პრობლემის არსი რაშია, ფეხები რომ ბანჯგვლიანი აქვს, თუ მუხლზე რომ დარჩა კრემი წასასმელიო. ზოგიც აღშფოთებული აღნიშნავდა, რომ, სამწუხაროდ, ასეთი წყვილი ბევრნია საქართველოში.

*reitingi.ge*

## „კაზანტიპი“ და შოუმენის რჩევები ქართველ ბიჭებსა და გოგონებს



ნიკა ქავთარაძე „კაზანტიპთან“ დაკავშირებით „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე შემდეგ სტატუსს აქვეყნებს:

– ბიჭები, რომლებსაც „კაზანტიპზე“ საკუთარი შეყვარებულები/მეგობარი გოგოები/ცოლები არ მიჰყავთ, არიან გაიძვერები;

ბიჭები, რომლებსაც უკრაინელი გოგოები ჰგონიათ უკეთესები, არიან ბრიყვები – მოექეცით ისევე ქართველ გოგოებს, როგორც უცხოელებს. უთხარით იმდენი კარგი სიტყვა, რამდენსაც უცხოელებს ეუბნებით. გაეპრანჭეთ



ქართველ გოგოებს ისე, როგორც უცხოელებს და ქართველი გოგოები მოგექცევიან 1000-ჯერ უფრო კარგად, ვიდრე ნებისმიერი გოგო სამყაროში.

ახლა, ქართველო გოგოებო, მომისმინეთ – უთქვენოდ თუ წავა თქვენი ბიჭი „კაზანტიპზე“ და მაინც მასთან ერთად იქნებით, იცოდეთ, რომ მასთან მომავალი ურთიერთობის პერიოდში მომხდარი ყველა დეგენერატობა თქვენი ბრალი იქნება.

*newposts.ge*

## ლევან ღვინჯილია: „ქალბატონო ჟურნალისტო! „გვამი“ უსულოა და მისი „გამოყვანა“ არ შეიძლება“



ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ქართველ ჟურნალისტებსა და დეპუტატს მეტყველების დროს დაშვებული შეცდომების გამო აკრიტიკებს.

პარლამენტარ (ჟურნალისტს), პარლამენტარ (მაჟორიტარს, ბატონ „ზ“-ს) და ტელეწამყვან დიანა ჯოჯუას ქართული ენის გაკვეთილი ლევან ღვინჯილიამ ექსპრომტად სოციალურ ქსელში ჩაუტარა:

1. პარლამენტარი (ჟურნალისტი): „პრინციპულად აყენებდნენ ჩემი კოლეგები ომში დაღუპული ბიჭების გვამების შემთხვევის ადგილიდან გამოყვანის საკითხს“.

2. პარლამენტარი (მაჟორიტარი): „პროკურატურაში დაიბარეს ყოფილი ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი“...

3. ტელეწამყვანი დიანა ჯოჯუა: „საღამო მშვიდობის“!

მცირე კომენტარები:

1. ქალბატონო ჟურნალისტო! „გვამი“ უსულოა და მისი „გამოყვანა“ არ შეიძლება. ასეთი ელემენტარული რამ კი უნდა გცოდნოდათ აქამდეც.

2. ბატონო ზ!.. „ყოფილი ექსპრეზიდენტი“ ნიშნავს იმას, რომ საუბრობთ მოქმედ პრეზიდენტზე, რომელიც ადრეც ყოფილა ამ პოსტზე არჩეული... ანუ: თქვენ ამ სიტყვებით მიხეილ სააკაშვილს უწინასწარმეტყველებთ კვლავ პრეზიდენტად დაბრუნებას. დავიჯერო, კოალიციის წევრი ამაზე „ოცნებობს“, თუ უმეცრებით მოუვიდა? (ექს=ყოფილს!!!).

3. დიანა, ძვირფასო! კარგა ხანია, რაც თქვენ ჯიუტად იპარავთ ყოველ საღამოს ა-ხმოვანს!!! მისალმების სწორი ფორმულაა – „საღამო მშვიდობისა“ და ის „ა“ ხმოვანი, რომელსაც თქვენ ასე ვერ იტანთ, ისევე აუცილებელია, როგორც ანალოგიურ ფორმულაში – „ძილი ნებისა“. თქვენ აქაც, ალბათ, ბოლო ა-ს მოიპარავდით და იტყოდით: „ძილი ნების“. არ ვარგა ასეთი გაჯიუტება: თქვენ ენის მომხმარებელი ხართ და არა „კანონმდებელი“, ამიტომ ვალდებული ხართ, ნორმა დაიცვათ!!!

*ambebi.ge*

## რას წერს ლოლიტა ქეთა თოფურიაზე?





ქეთა თოფურია იურმალაზე საკუთარი დიზაინით შექმნილი კაბით გამოცხადდა, აღნიშნულ ფაქტს სოციალურ ქსელში მომღერალი ლოლიტა მილიავსკაია ეხმაურება:

– ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერია! მე ამას ვამბობ ქეთიზე! ახლახან იურმალაზე გავიგე, რომ ის მხოლოდ საფირმო ვოკალის მფლობელი კია არაა, საკუთარი სასცენო კოსტუმებისა და ვარცხნილობების ავტორიც თავად გახლავთ. მე ძალიან მიყვარს ის!, – წერს ლოლიტა „ინსტაგრამზე“ ქეთასთან ერთად გადაღებულ ფოტოზე.

*droni.ge*

## სალომე ქათამაძე ამერიკაში მიემგზავრება



„Yeeeeeey AMERICA I'm comiiiiiing“... – „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე სალომე ქათამაძის მიერ გამოქვეყნებულ ამ სიტყვებს უამრავი კომენტარი, მოლოცვა და კეთილი სურვილი მოჰყვა.

– 13-ში სასწავლებლად მივფრინავ და გაგაგებინებთ ამბებს, – პასუხობს დაინტერესებულ მეგობრებს მომღერალი.

სალომე ქათამაძე:

– ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში გადავწყვიტე ჩაბარება. უფრო ზუსტად ჩემმა მეგობარმა მარიამ აბდუშელიშვილმა გადამაწყვეტინა. თვითონაც ბერკლიში სწავლობს და ძალიან მომეხმარა ყველაფერში, ოჯახის წევრებმაც ხელი შემიწყვეს და მივემგზავრები, გამოცდა 16 აგვისტოს მაქვს. ვნახოთ, რა იქნება, სწავლას იმ შემთხვევაში გავაგრძელებ, თუ 80%-იან დაფინანსებას მოვიპოვებ. ნაკლები დაფინანსების შემთხვევაში შევეცდები, სპონსორი ვიპოვო, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მაღალ დაფინანსებას მივიღებ.

*newposts.ge*

## ვანიკო თარხნიშვილი ბიჭის მამა გახდა



მსახიობი და ტელეწამყვანი ვანიკო თარხნიშვილი ვაჟის მამა გახდა.

ვანიკოს ცოლი, სოფო გელავა პროფესიით კინომცოდნეა. წყვილი რამდენიმე წელია ერთად ცხოვრობს, თუმცა მშობლები პირველად გახდნენ.

ცნობილია, რომ ვანიკოს მეუღლემ ჩაჩავას კლინიკაში იმშობიარა და დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ვულოცავთ ვანიკოსა და სოფოს ვაჟის დაბადებას და ბედნიერებას ვუსურვებთ.

*marao.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– კონსტანტინოვიჩ, რომელია სწორი ფორმა: „მკერდით“ თუ „მკერდიდ“?

– რა იდიოტობას მეკითხები?! ბოლოს და ბოლოს, ადექი და დაწერე – ძუძუებით!

– რა დავწერო, კაცო, – ტრადიციებს ძუძუებით იცავდნენო?!

*****

– მოდი, დღეს პრეზერვატივი არ გვინდა, კარგი?

– რატომ?

– ცხელა ძალიან!..

*****



მოსწავლეები მუზეუმში იყვნენ. ექსკურსიის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება:

– ლევან, რა მოგეწონა ვენერას ქანდაკებაში?

– საჯდომი, მასწ!

– გაეთრიე კლასიდან!!!

– ზაზა, შენ რით მოგხიბლა ვენერას ქანდაკებამ?

– მკერდით, მასწ!

– ახლავე გაეთრიე აქედან!!!

– კოტე, აბა, შენ მითხარი...

– გავეთრევი, მასწ, გავეთრევი!..

*****

ანტიალკოჰოლური კამპანიის მსვლელობისას, გორბაჩოვმა ტელეგრამა მიიღო, რომელიც მასთან ციმბირიდან აფრინეს:

– სასწრაფოდ გამოგვიგზავნეთ 20 ეშელონი არაყი! ხალხი გამოფხიზლდა, კითხულობს, ჩვენს მეფეს რა უქენითო?!

*****

სადაზღვევო აგენტმა რაბინოვიჩი დააზღვია – ხანძრისგან და ძარცვისგან, ბოლოს კი გააფრთხილა:

– გაითვალისწინეთ, რომ კომპანია ზარალს არ აგინაზღაურებთ, თუ საკუთარ სახლს თავადვე დაწვავთ!

რაბინოვიჩი ცოლს უკმაყოფილო სახით მიუბრუნდა:

– ვიცოდი, რა, რომ რაღაც მამაძაღლობასთან მექნებოდა საქმე!..

*****

– ნუ ნერვიულობ! დაზიანებული ნერვული უჯრედების აღდგენა ძალიან რთულია.

– კბილებისაც! თავი დამანებე!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ,*
*დავით ახობაძის ნახატები*

## რა გავლენას ახდენს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი სექსუალურ ცხოვრებაზე



ერთი შეხედვით, ამ ორ მოვლენას შორის კავშირი ნულოვანია, თუმცა ასე არ ფიქრობს იტალიელი მეცნიერების ჯგუფი, რომელსაც როგორღაც, გაუჩნდა იდეა, გაერკვია, რა კავშირია მაღალქუსლიან ფეხსაცმელსა და სექსუალურ ცხოვრებას შორის.

თქვენ წარმოიდგინეთ, მათ კავშირი აღმოაჩინეს კიდეც, თანაც საკმაოდ მჭიდრო კავშირი.

კერძოდ, როგორც კვლევის ავტორები ამტკიცებენ, რაც უფრო მაღალქუსლიან ფეხსაცმელს იცვამს ქალი, მით უკეთესია მისი სექსუალური ცხოვრება.

იტალიელ მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი, მარია ჩერუტო განმარტავს, რომ 5-სანტიმეტრიანი ქუსლები მნიშვნელოვნად ამაგრებს მცირე მენჯს, რაც, თავის მხრივ, უდიდეს გავლენას ახდენს სექსზე.



საერთო ჯამში, იტალიელებმა 50 წლამდე ასაკის რამდენიმე ასეული ქალი შეისწავლეს და დაადგინეს, რომ იმ ნაწილს, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ხშირად იყენებს, სექსუალურ პარტნიორებთან პრობლემები, ფაქტობრივად, არ ექმნება.

– კარგად დამუშავებული კუნთები მაღალ სექსუალურ აღგზნებადობას იწვევს, ამის მიღწევა კი სწორედ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელის დახმარებითაა შესაძლებელი, – ასეთია იტალიელი მეცნიერების დასკვნა.

***woman.ru***

## ეგვიპტის პირამიდები მონების ნახელავი არ ყოფილა?



ეგვიპტის შესახებ გადაღებულ, ფაქტობრივად, ყველა ფილმში და ასევე, ამ უძველეს იმპერიაზე დაწერილ წიგნებშიც ხაზი აქვს გასმული იმ ფაქტს, თითქოსდა, პირამიდები მონების მიერ იყოს აშენებული.

ასე ფიქრობდა კაცობრიობა დიდი ხნის წინაც და უახლოეს წარსულშიც, თუმცა ახლახან გაჩენილი ჰიპოთეზა ძველ შეხედულებებს რადიკალურად განსხვავებულ ჭრილში აყენებს.

საქმე ისაა, რომ ევროპელმა არქეოლოგებმა თვალუწვდენელ უდაბნოში ფარაონების აკლდამების სიახლოვეს უზარმაზარი სამარხები აღმოაჩინეს, რომლებშიც, სავარაუდოდ, სწორედ პირამიდების მშენებლები უნდა იყვნენ დასაფლავებულები.

– მონებს ასეთ პატივს არავინ აღირსებდა, ეს გამორიცხულია, – მიიჩნევენ ევროპელი არქეოლოგები.

მაშ, ვინ ააგო პირამიდები, თუ არა მონამ? ასეთი კითხვის გაჩენა სავსებით ბუნებრივია და სხვათა შორის, მეცნიერებს მასზე მეტ-ნაკლებად ამომწურავი პასუხი უკვე აქვთ:

– ის, ვინც პირამიდების მშენებლობის პროცესში ერთვებოდა, გადასახადებისგან თავისუფლდებოდა. მაშინდელი გადასახადები კი საკმაოზე მეტად მაღალი იყო. გარდა ამისა, ეგვიპტეში სხვა ქვეყნებიდანაც მრავალი მოხალისე ჩადიოდა და სწორედ მათი მუშაობის შედეგია დღემდე შემორჩენილი საოცარი პირამიდები, – განმარტავენ სპეციალისტები.

როგორც ჩანს, ლუკმაპურის საშოვნელად ცხრა მთას იქით გადავარდნა უხსოვარ დროშიც არ ყოფილა უცხო ხილი. საინტერესოა, მოხუცების მომვლელადაც თუ ჩადიოდა მაშინ ეგვიპტეში ვინმე?..

***factroom.ru***

## ბოლივიელმა მეძავებმა პროტესტის ნიშნად ორგანო ამოიკერეს



საქმე ისაა, რომ გარკვეული პერიოდის წინ ბოლივიურ ქალაქ ელ ალტოში ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების შესაბამისად, საროსკიპოები დაიხურა, რასაც პირველ ეტაპზე მეძავებისგან – მძაფრი პროტესტი და შიმშილობის აქცია, შემდეგ კი პირის ამოკერვაც მოჰყვა.

დიახ, სწორედ პირი ამოიკერეს ბოლივიელმა „ღამის პეპლებმა“ და თქვენ რაც იფიქრეთ, ის არა!..

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალიც – პირამოკერილმა როსკიპებმა ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელეს: თუკი უახლოეს პერიოდში ყურს არ დაგვიგდებენ, თავს ცოცხლად დავიმარხავთო...

როგორ უნდა მოუსმინონ პირამოკერილ ადამიანებს იქაურმა პოლიტიკოსებმა, ცოტა არ იყოს, გვაკვირებს ეს მოთხოვნა, მით უმეტეს, რომ ჩვენთან მუდმივად მოლაპარაკეებსაც კი არავინ აქცევს ყურადღებას, თუმცა აბა, რას გავუგებთ ამ მეძავებსა და პოლიტიკოსებს, ძვირფასო მეგობრებო?!

დაბოლოს, პროსტიტუცია ბოლივიაში დიდი ხნის წინ დაუკანონებიათ, თუმცა ელ ალტოს ხელისუფლებას რატომღაც, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებისთვის მუშაობა აუკრძალავს.

***mainfun.ru***

## გარდაცვლილის ექსჰუმაცია მის ტელეფონში სიმ-ბარათის ჩასადებად იგეგმება?!




გარდაცვლილი ადამიანის ექსჰუმაცია თუნდაც, სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებას, ან სამეცნიერო მიზნებს უკავშირდებოდეს, მთლად საუკეთესო გადაწყვეტილება არ არის და მით უმეტეს მიუღებელია მიცვალებულის ისეთი უაზრობის გამო „შეწუხება“, როგორიც მის ტელეფონში სიმ-ბარათის ჩადებაა!

ეს დაუჯერებელი შემთხვევა ჩერნოგორიაში დაფიქსირდა – თურმე, სასიკვდილო სარეცელზე მყოფ 67 წლის არსო ბანჟეგლავს ნათესავებისთვის ანდერძად დაუტოვებია, რომ კუბოში მობილური ტელეფონი ჩაეყოლებინათ, რაც მას აუსრულეს კიდეც, თუმცა ჭირისუფალს ტელეფონში სიმ-ბარათის ჩადება დავიწყებია.

ჰოდა, სწორედ ამ მიზეზით გადაწყდა განსვენებულის საფლავის ამოთხრა, რაც, ვფიქრობთ, ყოვლად მიუღებელია!

ბოლოს და ბოლოს, რა, მიცვალებული „მესიჯობას“ დაიწყებს თუ ვინმეს დაურეკავს?!.

***etotupo.ru***

## მიმტანი ქალი ლუდის ქილების მკერდით დაჭეჭყვის გამო დააჯარიმეს



ბორჯომელებმა იციან ხოლმე ხუმრობით: „ჟეშტი პივასა დალენ, ჯიგო?“, რაზეც პასუხიც შესაბამისია: „დავლენ და დავჭეჭყან“...

დალევის რა მოგახსენოთ, მაგრამ აი, „ჟეშტის პივას“ კი დიდი მონდომებით ჭეჭყავდა ავსტრალიელი მიმტანი ქალი, 31 წლის ლუანა დე ფავარი, რომელსაც ასეთი უცნაური გართობის



გამო სერიოზული პრობლემები შეექმნა.

როგორც ირკვევა, პოლიციამ ოფიციანტს პირდაპირ ფაქტზე წაასწრო და ლუდის ქილების მკერდით დაჭეჭყვა გარყვნილებად ჩაუთვალა. ჰოდა, მაშინვე ჯარიმაც გამოუწერეს.

მომხდარს თავად ლუანა დე ფავარიც ადასტურებს და აღიარებს, რომ სასტუმრო „პრემიერის“ კლიენტებისთვის ასეთი შოუ რამდენჯერმე აქვს ჩატარებული.

იქაური მედიის ინფორმაციით, ლაურა დე ფავარი 1000 ავსტრალიური დოლარით, დაახლოებით 900 აშშ დოლარით დაჯარიმდა, თუმცა ეს უცნაური შემთხვევა მხოლოდ დე ფავარის დაჯარიმებით არ ამოიწურა – ჯარიმის გადახდა მოუწევს მის მეწყვილესაც, რომელიც კლიენტებს მკერდზე კოვზების მიწებებით ამხიარულებდა – 35 წლის ტრეისი ლესლის 500 ავსტრალიური დოლარის გადახდა დაეკისრა.

არადა, მკერდისა და ლუდის ქილის უფრო შესანიშნავი მიზნებისთვის გამოყენება არ შეიძლებოდა? ასეთ შემთხვევაში ხომ ჯარიმაც არავის დაეკისრებოდა, მაგრამ...

***vesti.ru***

## ჩინელმა სასიძომ საცოლისთვის 200-მეტრიანი საპატარძლო კაბა შეუკვეთა



უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ჩინელმა ჩანგ კსიაოინმა ადგილობრივ სამკერვალოს საცოლისთვის 200,8 მეტრის სიგრძის მქონე საპატარძლო კაბის შეკვეთა მისცა.

საინტერესოა, რომ ისედაც მინიატურული აღნაგობის ჩინელი საპატარძლო ასეთ გიგანტურ კაბაში სულ მთლად დაიკარგა, თუმცა ის მაინც ბედნიერი იყო, რადგან მსოფლიოში ყველაზე გამორჩეული საქორწინო სამოსის მფლობელად აღიარეს.

ყურადსაღებია ისიც, რომ 200-მეტრიანი კაბის შეკერვაზე 30 სპეციალისტი მთელი ორი თვის განმავლობაში მუშაობდა.

და კიდევ ერთი – 200,8 მეტრის სიგრძის მქონე საპატარძლო კაბა 208 ბაფთითაა დამშვენებული, შლეიფის სიგრძე 3 მეტრს შეადგენს, საერთო წონა კი დაახლოებით 100 კილოგრამს უტოლდება.

რა თანხა დაჯდა გიგანტური კაბა, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

***factroom.ru***

*მიხეილ სახვაძე 599 93-28-03*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. უდაბნო აფრიკაში
2. ლი ფილმში „ლედი ...“
3. მსახიობი ... დელონი
4. მსახიობის სავრიმიორი, ანუ ...
5. თამაში კიით
6. არეკლილი გამოსხივება
7. არქიმედეს მშობლ. ქალაქი
8. მოტორიანი ნავი
9. ზღვის ძუძუმწოვარი
10. პორტუგალიის დედაქალაქი
11. ვინი პუჰის ავტორი
12. მზვერავი ქალი ... ჰარი
13. ავტორბოლა
14. ინის საპირისპირო
15. აკვნის შარდსადენი
16. მეფის კარისკაცი
17. ნამცხვარი
18. ზღაპრული ფრინველი
19. მისი დედაქალაქია თეირანი
20. ჰუნების ბელადი
21. ხორბლის გამონაცერი
22. დუმბაძე. „თეთრი ...“
23. ევერესტი, ანუ ...
24. მომღერალი ჯასტინ ...
25. პოეზიის სიმბოლო
26. კედლის შანდალი
27. მსახიობი ალისა ...
28. მადაგასკარის დედაქალაქი
29. ყავისფერი პიგმენტი
30. გიტარისტი ... ჰენდრიკსი
31. მომღერალი ... მარლი
32. ... კარდენი
33. ბავშვის კბილი
34. დეკორატიული ყვავილი
35. დარტყმით ამობერცული ადგილი
36. ტყე მდინარის პირას
37. პათოსით წარმოთქმული სიტყვა
38. რეაქტიული საფრენი აპარატი
39. შოლოხოვი. „წყნარი ...“
40. მსახიობი ... გიბსონი
41. ფასიანი ქაღალდი
42. მხ/ფ „... მზე“
43. ანტიბიოტიკური ნივთიერება
44. ცხელი ნაკვერჩხალი
45. მხარე იმერეთში
46. მსახიობი ... ჭიჭინაძე
47. ცხრანახშირბადიანი ნაერთი
48. გამსახურდიას მოთხრობა
49. ბუდისტური სალოცავი
50. მსახიობი ჯემალ ...
51. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
52. რადიოლოკატორი
53. სურდო
54. წვრილი სისხლძარღვი
55. მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი
56. სახელმწიფო ევროპაში
57. მსახ. ... ჭანკვეტაძე
58. თამაში ...-პონგი
59. ტაილანდის ძველი სახელწოდება
60. ლატვიის ფულის ერთეული
61. იაპონური ხალათი
62. ერთნახადი არაყი
63. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
64. თურქეთის დედაქალაქი
65. აივენჰოს სატრფო
66. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
67. შებოლილი ხორცი
68. ქალაქი კახეთში
69. სანელებელი
70. ერთკუზიანი აქლემი
71. წინაღობის ერთეული
72. ტყის ფრინველი
73. იაზონის გემი
74. დიეგო არმანდო ...
75. სახსარი ტერფთან
76. „... დე ბერჟერაკი“
77. სახელმწიფოსთან ვაჭრობის აკრძალვა
78. მსახიობი ... გოლდბერგი
79. სოფელი რაჭაში
80. ჩანთოსანი დათვი
81. მორბენალი ფრინველი
82. კომპოზიტორი ... რაველი
83. იაპონური თაიგული
84. სტადიონი რიოში
85. მერცხლის ხმიანობა
86. ვაჭრობის თეორია
87. სპორტული მცენარე
88. უფრთო ფრინველი
89. კომუნისტის მოწმობა
90. საკანი
91. ... მორჩილაძე
92. მახრჩობელა გველი
93. მდინარე აფხაზეთში
94. მსახიობი ... მიურეი
95. საერთო ევროპული ვალუტა
96. ჩელენტანო ფილმში
97. ქალთა უფლებების დამცველი
98. ამერიკელი მომღერალი ქალი
99. რძის პროდუქტი
100. მეტყველების ორგანო
101. მომღერალი ... ბადურაშვილი
102. ბრედ პიტი ფილმში
103. „რა? სად? როდის?“ წამყვანი
104. კომპოზიტორი ... პაულსი
105. ჟურნალისტი ... გრიგოლია
106. ქალაქი სომხეთში
107. დროშა
108. მსახიობი ანუკ ...
109. არქიმედეს შეძახილი
110. მსახიობი ... მერფი
111. მოგზაური ...-მაკლაი
112. ქალაქი რუსეთში
113. მსახიობი ... პაჩინო
114. კრატერიდან გადმოსული მასა
115. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
116. მსახიობი ჯეინ ...
117. შეთანხმება ომის დასრულებაზე
118. მხ/ფ „პირველი მერცხალი“ პერსონაჟი
119. ფული ზოგადად
120. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
121. სასროლეთი
122. კუნძული ინდონეზიაში
123. მწვანილების შეკვრა
124. სამკურნალო მცენარე
125. კოსმეტიკა სახეზე
126. ავტომობილის კორპუსი
127. საოპერო პარტია
128. მიხეილ ჯავახიშვილი. „ჯაყოს ...“
129. მსახიობი ოსვალდო ...
130. თალი
131. ჯუჯა სამეფო ევროპაში
132. რეპტილია
133. ოცკაპიკიანი ძველად
134. რეჟისორი ალფონსო ...
135. ჯიქანი
136. რეჟისორი ... ჰოვარდი
137. მსახიობი ... ნოლტი
138. მხატვრული ჭრა ზეზე
139. საკონდიტრო სანელებელი
140. კომპოზიტორი იმრე ...
141. მსახიობი ... ფაროუ
142. მობილურების ფირმა
143. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
144. ერთ-ერთი მუშკეტერი

პასუხები: 1. კალაჰარი; 2. ჰამილტონი; 3. ალენ; 4. საპირფარეშო; 5. ბილიარდი; 6. ანარეკლი; 7. სირაკუზა; 8. კატერი; 9. ლომვეშაპი; 10. ლისაბონი; 11. მილნი; 12. მატა; 13. რალი; 14. იანი; 15. შიბაქი; 16. ეჯიბი; 17. ეკლერი; 18. ფასკუნჯი; 19. ირანი; 20. ატილა; 21. ქატო; 22. ბაირაღები; 23. ჯომოლუნგმა; 24. ტიმბერლეიკი; 25. ლირა; 26. ბრა; 27. ფრეინდლიხი; 28. ანტანანარივუ; 29. მელანინი; 30. ჯიმი; 31. ბობ; 32. პიერ; 33. კიჭი; 34. ოლეანდრი; 35. კოპი; 36. ჭალა; 37. ტირადა; 38. რაკეტა; 39. დონი; 40. მელ; 41. ობლიგაცია; 42. უძინართა; 43. პენიცილინი; 44. ღადარი; 45. ოკრიბა; 46. დოდო; 47. ნონანი; 48. „ლილ“; 49. დაცანი; 50. ღაღანიძე; 51. იბისი; 52. რადარი; 53. რინიტი; 54. კაპილარი; 55. იღუმენი; 56. ნიდერლანდი; 57. ნინელი; 58. პინგ; 59. სიამი; 60. ლატი; 61. კიმონო; 62. რახი; 63. ლაპისი; 64. ანკარა; 65. როენა; 66. მარადია; 67. ლორი; 68. ყვარელი; 69. მარილი; 70. დრომადერი; 71. ომი; 72. ყვავი; 73. „არგო“; 74. მარადონა; 75. კოჭი; 76. სირანო; 77. ემბარგო; 78. ვუპი; 79. ირი; 80. კოალა; 81. სირაქლემა; 82. მორის; 83. იკებანა; 84. მარაკანა; 85. ჭიკჭიკი; 86. მარკეტინგი; 87. სოკო; 88. კივი; 89. მანდატი; 90. დილეგი; 91. აკა; 92. ბოა; 93. ენგური; 94. ბილ; 95. ევრო; 96. „ბლეფი“; 97. ფემინისტი; 98. მადონა; 99. დო; 100. ენა; 101. ნინი; 109. „ტროა“; 103. მოსიძე; 104. რაიმონდ; 105. ინგა; 106. აბოვიანი; 107. ალამი; 108. ემე; 109. ევრიკა; 110. ედი; 111. მიკლუხო; 112. რიაზანი; 113. ალ; 114. ლავა; 115. ორანგუტანგი; 116. ბირკინი; 117. ზავი; 118. იასონი; 119. ვალუტა; 120. იკაროსი; 121. ტირი; 122. იავა; 123. კონა; 124. ასკილი; 125. მაკიაჟი; 126. ძარა; 127. არია; 128. ხიზნები; 129. რიოსი; 130. არკა; 131. ანდორა; 132. კუ; 133. აბაზი; 134. არაუ; 135. ცური; 136. რონ; 137. ნიკ; 138. ინკრუსტაცია; 139. ვანილი; 140. კალმანი; 141. მია; 142. „ნოკია“; 143. სინუსი; 144. არამისი. იკითხება: ჰოლი ბერი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ფერადი სათვალეები ადამიანს სიცრუისკენ უბიძგებს?



ისე, კარგი იქნებოდა, ადამიანი ცხოვრებას ყოველთვის ნათელ ფერებში ხედავდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს გარშემო მუქი ფერებიც მრავლადაა, რომელიც აუცილებლად უნდა აღვიქვათ, რათა არ მოვდუნდეთ და შეცდომები არ დავუშვათ.

თქვენ წარმოიდგინეთ, ცხოვრებისთვის მხოლოდ ფერადი სათვალეებით ცქერას სხვა მინუსებიც ჰქონია. კერძოდ, კანადელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ განათების დონე ძალიან დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, უფრო ზუსტად კი – პატიოსნებაზე.

ტორონტოს უნივერსიტეტის სწავლულების ინფორმაციით, ფერადი სათვალე ადამიანში ანონიმურობის შეგრძნებას ამძაფრებს და მის შემდგომ ნაბიჯებზე ნეგატიურ გავლენას სწორედ ეს მომენტი ახდენს.

ცხადია, აღნიშნული ჰიპოთეზა კანადელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტის დახმარებითაც დაამტკიცეს – მოხალისეები მათ სხვადასხვა ოთახში მოათავსეს, ერთ ნაწილს ფერადი სათვალეები დაურიგეს, მეორეს კი სათვალე საერთოდ არ მისცეს და მათემატიკური მაგალითების ამოხსნა დაავალეს.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად მოხალისეების სწორედ ის ნაწილი იტყუებოდა და პასუხების სხვისგან შეტყობას ცდილობდა, რომელიც ფერადი სათვალეებით იყო მომარაგებული.

მოკლედ, თუ თქვენს მოსაუბრეს, რომელსაც ფერადი სათვალე უკეთია და რომელთანაც მნიშვნელოვან საკითხზე გიწევთ დალაპარაკება, პირველ რიგში, თვალების გამოჩენა მოსთხოვეთ.

*factroom.ru*

## მეეზოვის ადგილის მისაღებად გამართულ კონკურსში, მონაწილეობა 500-მა ადამიანმა მიიღო



ის, რაც სამხრეთ კორეის ქალაქ გუმში სულ ახლახან მოხდა, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ უმუშევრობა ნებისმიერი ეროვნების ადამიანს ერთნაირად საშინელ დღეში აყენებს და თუკი რომელიმე მათგანი წარსულში პროფესიით მუშაობდა და შეიძლება, ბევრი რამეც ეთაკილა, დღეს უკვე მზად არის, მეეზოვეობაზეც კი წავიდეს, რათა სახლში ხელცარიელი არ დაბრუნდეს.

შოტლანდიელებისგან განსხვავებით, სამხრეთ კორეელებმა უმუშევრობის დასაძლევად მეეზოვის 14 ვაკანსია მაინც გამონახეს, მაგრამ 500-მდე მსურველის განაცხადის მიღების გამო, სირბილში კონკურსის ჩატარება მოუხდათ.

შეჯიბრების პირობების თანახმად, მეეზოვის ვაკანსიაზე მოხვედრის მსურველებს ზურგზე 20 კილოგრამი ბრინჯი უნდა მოეგდოთ და დისტანცია ასე დაეფარათ. უკვე ფინალში გასულებს კი მანძილიდან პაკეტებში გახვეული ძაღლის ფეკალიები სანაგვისთვის უნდა დაემიზნებინათ და მიზნისთვის არ უნდა აეცილებინათ.

საბოლოო ჯამში, კორეელებმა მეეზოვის 14 ვაკანტური ადგილი კი შეავსეს, მაგრამ 486 ადამიანი ხომ კვლავაც უმუშევარი დარჩა.

*etotupo.ru*

## ამერიკელები მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ პუდინგს ამზადებენ



ალბათ, ჭეშმარიტი გურმანები, რომლებსაც, რაღა თქმა უნდა, ჯიბეც აძლევთ ამის საშუალებას, ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში, სახელწოდებით „ინტუიცია", მომზადებული პუდინგის დაგემოვნებაზე უარს არასოდეს ამბობენ, აი, რაც შეეხებათ „ჩვეულებრივ მოკვდავებს", სამწუხაროდ, მათ ამერიკელების ამ ნაწარმის მხოლოდ ფასის გაგება თუ აქვთ პერსპექტივაში – პუდინგი, რომელსაც აღნიშნულ რესტორანში ამზადებენ, 26 ათასი აშშ დოლარი ღირს!

აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის რესტორნის პუდინგი გინესის რეკორდების წიგნშიც კია შეყვანილი და პრინციპში, სრულებით სამართლიანადაც, რადგან ფასის მხრივ მას კონკურენტი არ გააჩნია.

ამერიკელების პუდინგი 26 ათასი დოლარი, თურმე, იმიტომ ღირს, რომ ის 28 სახეობის ეგზოტიკური კაკაოსგან მზადდება და ზედ 23-კარატიანი ჭამისთვის ვარგისი ოქრო ეფრქვევა.

გარდა იმისა, რომ რესტორნის სტუმრებს ასეთი ძვირადღირებული დესერტის დაგემოვნება შეუძლიათ, მათ იმ ჭურჭლის წაღების უფლებაც აქვთ, რომელშიც პუდინგი იყო მოთავსებული და ასევე, მათ საკუთრებაში გადადის ბრილიანტებით გაფორმებული ოქროს კოვზიც.

*myjane.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**30 ივლისი:** შესაფერისი დღე არ არის მოლაპარაკებებისა და საქმიანი საუბრებისთვის, სამაგიეროდ, ზედგამოჭრილია უკვე შეთანხმებული საქმეების საკეთებლად.

**კურო 22.04-21.05**
**30 ივლისი:** დიდი ალბათობით, შეხვდებით ადამიანს, რომელიც თავის გულისტკივილს გაგიმხელთ და ხასიათს გაგიფუჭებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**30 ივლისი:** ყველაფერს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. პრობლემები, რომლებიც თქვენად მიგაჩნიათ, არ გეხებათ და იმან მიხედოს, ვისაც ეკუთვნის.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**30 ივლისი:** ვიღაცაზე ფიქრობთ და მთელი გონება მისკენაა მიმართული, ისე, რომ პრობლემებიც აღარ გახსენდებათ. რეალობას დაუბრუნდით.

**ლომი 23.07-22.08**
**30 ივლისი:** ძალიან ხისტი იქნებით. ამიტომ საკუთარი სიტყვების გაკონტროლება მოგიწევთ. არ არის საჭირო ვინმესთან ურთიერთობების გაფუჭება.

**ქალწული 23.08-22.09**
**30 ივლისი:** აუცილებელი არ არის პრობლემების საგულდაგულოდ დამალვა. შეიძლება ვიღაცამ დახმარება შემოგთავაზოთ და ეს წრფელი გულით იქნება.

**სასწორი 23.09-22.10**
**30 ივლისი:** ვიღაცამ შეიძლება ძალიან გაწყენინოთ, რის გამოც გადაუდებელი საქმეების კეთების ინტერესიც კი დაგეკარგებათ. თავი ხელში აიყვანეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**30 ივლისი:** არაერთ წვრილმან, მაგრამ უსიამოვნო დაბრკოლებას წააწყდებით. შეეცადეთ, გაღიზიანების გამო ემოციები ახლობლებზე არ ამოანთხიოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**30 ივლისი:** საკმაო სულიერი და ფიზიკური ძალები გექნებათ საიმისოდ, რომ რთულ საქმეებს გაუმკლავდეთ. სერიოზული დაფიქრება მოგიწევთ, რათა ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ამოარჩიოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**30 ივლისი:** საყიდლებზე თუ აპირებთ წასვლას, პირველ რიგში, ის შეიძინეთ, რაც ძალიან გჭირდებათ და არა ის, რაც გინდათ. შეიძლება ორივეზე ფული არ გეყოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**30 ივლისი:** უმჯობესია, ეს დღე უმნიშვნელო საქმეებს დაუთმოთ, რომლებიც პირადად თქვენ გეხებათ და ნაკლები ისაუბრეთ, ბევრი ვინმე იქნება დაინტერესებული, რომ ის წამოგცდეთ, რისი თქმაც სასურველი არ არის.

**თევზები 19.02-20.03**
30 ივლისი: რაღაც ცვლილებებია მოსალოდნელი, რომლებიც შეიძლება თქვენც შეგეხოთ. მზად იყავით, რომ მოვლენები აკონტროლოთ.

## შოტლანდიის ხელისუფლებამ უმუშევრობასთან ბრძოლაში დასახმარებლად... ჰიპნოზიორი დაიქირავა!



ვშიშობთ, ამ ინფორმაციის გახმაურებით ჩვენი ხელისუფლების წისქვილზე არ დავასხათ წყალი და მათ ისედაც შეუსრულებელ დაპირებებს ახალი სამუშაო ადგილების მოძიების შესახებ, უფრო ხანგრძლივად არსებობის შანსი არ მივცეთ, მაგრამ რაც არის, არის – მოკლას ხარი თივამ, ჟურნალისტი კი პოლიტიკოსების უაზრო საქციელებისა და გადაწყვეტილებების გამომზეურებამ.

თურმე, შოტლანდიის ხელისუფლებამ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად მათსავე ქვეყანაში ცნობილი ჰიპნოზიორი, პოლ მაკკენი დაიქირავა.

იქაური მედიის ინფორმაციით, პოლ მაკკენი 16-დან 24 წლის უმუშევარ ახალგაზრდებს ლექციათა კურსს ჩაუტარებს, რომლის ხარჯებსაც, დაახლოებით 20 ათას ფუნტ სტერლინგს, შოტლანდიელი გადამხდელები დაფარავენ.



ცნობილია ისიც, რომ ლექციათა კურსი პირველ ეტაპზე ქალაქ გლაზგოს მკვიდრებს ჩაუტარდებათ, სადაც მხოლოდ უმუშევარი ახალგაზრდების რაოდენობა 600 ათასს შეადგენს.

როგორც აღნიშნული იდეის ავტორები განმარტავენ, ცნობილი ჰიპნოზიორი მთელ თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს იმას მოახმარს, რომ ახალგაზრდებში მუშაობის სურვილი გამოაღვიძოს და სამსახურის ძებნა დააწყებინოს.

ცხადია, მომხდარს საკმაოდ დიდი აღშფოთება მოჰყვა როგორც საზოგადოებისგან, ისე შოტლანდიის ლეიბორისტული პარტიის მხრიდან, რომლებიც უაზრო ლექციათა კურსზე 20 ათასი ფუნტ სტერლინგის დახარჯვას ხელისუფლების მორიგ შეცდომად აფასებენ.

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ანეკდოტი



კოტემ ახალი სამსახური იშოვა. კომპანიის ფსიქოლოგმა თანამშრომლისთვის ტესტის ჩატარება გადაწყვიტა – წინ ნახატები დაუწყო და ეკითხება:

– ეს ერთ-ერთი ცნობილი რეპროდუქციაა: „სამი მონადირე ისვენებს". რა ასოციაციას გიჩენთ ეს ნახატი?

– ჰომოსექსუალების!

– კი მაგრამ, რატომ?!

– საჭმელი თან აქვთ, სასმელი თან აქვთ, ქალები კი არ ჰყავთ. რა თქმა უნდა, ჰომოსექსუალები არიან!

– ძალიან საინტერესო ლოგიკა გქონიათ... ამ ნახატზე წეროების გადაფრენას ვხედავთ, ეს რა ასოციაციებს აღგიძრავთ?

– ესენიც პიდარასტები არიან!

– რატომ, კაცო?!

– იმიტომ, რომ ერთმანეთს უკანალში უყურებენ!

– მოკლედ, გარშემო სულ ჰომოსექსუალებს ხედავთ. თქვენი აზრით, მე ვინ ვარ?

– რა თქმა უნდა, ჰომოსექსუალი – რა ამბავია ამდენ პიდარასტს რომ მაჩვენებთ?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"
ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.00